გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

# სამტრედიის მაცნე

N26 (9313) 20 სექტემბერი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

## სექტემბერი სხვა მზით სტყორცნის სხივს ფანჯარას

6

7

## სწავლის და სააღმზრდელო პროცესის განახლების კვალდაკვალ

## ვტოვებდი "ქართულ ოცნებას", რომ არ დაბრუნებულიყო ივანიშვილი!

## ბოლმის, ღვარძლის ენა ქართულ პოლიტიკაში

4

3

## შემოდგომის ჯადოსნური ღამე გოგოქარი ბგერებით

5

## რიგგარეშე სხდომა რიგში ჩამდგარი ცვლილებებით

2

## საკადრო გადაადგილებები სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში

# რიგგარეშე სხდომა რიგში ჩამდგარი ცვლილებებით

## დაბოლოს შეკეთებული შუქნიშანი გააწითლებს, გააყვითლებს და გაამწვანებს გზაჯვარედინს

**თეა ბაბუნაშვილი**

***დღის წესრიგის ჩაკითხვისას, დაწყებამდე რომ გავეცანით, ერთი შეხედვით სრული თანხმობით წარმართვის პირი უჩანდა საკრებულოს რიგგარეშე სხდომას. ასეც იყო, თანხმობა ყველა საკითხზე გამოხატა ოპოზიციამ, პოზიცია, ანუ უმრავლესობა კი, ბუნებრივია, ასე მოიქცეოდა! და ისიც ბუნებრივია, კიდევ ერთი შოუ დაარქვა უმრავლესობამ უმცირესობის გაცხარებას მცოცავი უკუპაციისა და 2008 წლის ომის მართებულობა-უმართებულობის საკითხზე. ერთი კი იყო, მზარეულის ხელფასიდან ოკუპაციამდე ისთი ამბავი ატყდა, დედა შვილს რომ ვერ აიყვანა ხელში! ასახსნელად მოვლენებს მივყვეთ, თუმცა, ერთი ფრაზა, სხდომაზე რომ გაიჟღერა, აუცილებლად უნდა მივიტანოთ მკითხველამდე: "ჩვენ ნელ-ნელა ვყიდით და აგენმა უცებ გაყიდეს", _ იხუმრა ერთმა უმრავლესობიდან და ასე დააყენა ეჭვქვეშ, თუ ვინ არიან ყველაზე სწრაფები მსოფლიოში.***

შუქნიშანი ქალაქის ცენტრში და მისი სამფეროვანი ნათება თითქმის ერთი წელია და არაერთი სხდომაა აქილევსის ქუსლად ექცა უმრავლესობას. მის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი ხშირად აწითლებს, აყვითლებს და ამწვანებს საკრებულოს სხდომებს. ამჯერად ისეთი პირი უჩანს, კომუნალური გაერთიანების ბიუჯეტში შესატანი ცვლილება, საბოლოოდ აანთებს შუქნიშანს, მაგრამ არა მხოლოდ საკრებულოს სხდომებზე, იმ გზაჯვარედინზე, სადაც, კარგა ხანია, სრულიად ჩამქრალი და გაფუჭებული ჰკიდია. კომუნალურმა გაერთიანებამ მოიძია ადამიანი, რომელიც მას შეაკეთებს და მის მუშაობას კონტროლს გაუწევს. მისი ანაზღაურებისთვის საჭირო თანხის ბიუჯეტში გამოძებნას სხდომის ყველა მონაწილე ხელის აწევით დაეთანხმა.

დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლას ინსტრუმენტის, კერძოდ, ფორტეპიანოს შესაძენად თანხა საკუთარი ბიუჯეტიდან გამოეყო. რაზეც დეპუტატებმა თანხმობა განაცხადეს. ასევე დაეთანხმნენ ისინი დაბა კულაშის სამუსიკო სკოლისთვის ღობისა და იატაკის შესაკეთებლად სკოლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებას.

"სახლი თანადგომას" მზარეულისთვის ხელფასის მომატება ეპატაჟების მორიგ სერიად იქცა იმდღევანდელ სხდომაზე. როგორც იქნა მოემატა ამ მზარეულს ხელფასიო, მამუკა ბიბილეიშვილმა ოპოზიციიდან. სწორედ ეს, "როგორც იქნა", გახდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დამრღვევ-აღმდგენის საქმის გარჩევის საბაბი. და საიდან და სადაო, ჩხუბიც "აიწია", ისეთი ჩხუბი, საკრებულოს გაწონასწორებული და ყველაზე კორექტული თავმჯდომარე საჩვენებელთითაწეული რომ წამოდგა მაღალ რეგისტრში მოკამათე მოჩხუბრების დასაშოშმინებლად.

უკვე დაწყნარებულები კი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფარდა-ჟალუზების დამონტაჟებას და კარის შეცვლას დაეთანხმნენ, სანამ აქ 1 ოქტომბერს დასაწყები სასწავლო პროცესი განახლდება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კი ზამთრისთის მოსამზადებლად შეშის დამუშავებისთვის თანხის გამოყოფა გახდა აუცილებელი, რასაც უხმოდ გამოუცხადა თანხმობა საკრებულომ.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს სამტრედიაში გარკვეული ცვლილებები დასჭირდა ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამების განსახორციელებლად. რაც სხდომაზე დავის საგანი არ გამხდარა, თანხმობა საკითხმა ყველა დეპუტატისგან მიიღო.

რამდენიმე კითხვის შემდეგ უმცირესობამაც გაიზიარა უმრავლესობის გადაწყვეტილება, დასთანხმებოდნენ ცვლილებას მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ბიუჯეტში და ერთჯერადი დახმარებებისთვის 10, ხოლო მძიმე ოპერაციების დასაფინანსებლად განკუთვნილი თანხებს 40 ათასი ლარი დამატებოდა.

რამდენიმე საჭირო ცვლილება მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტშიც შეიტანა. დაამტკიცეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2019 წლის პროგრამა.

სამტრედიაში, რესპუბლიის ქუჩაზე მდებარე 14 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი საპრივატიზაციო ობიექტად განისაზღვრა. "სპორტულ კომპლექს სამტრედიას" უზურფურქტის ფორმით უსასყიდლოდ გადაეცა სარგებლობაში სოფელ ბაშში არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართი.

# საკადრო გადაადგილებები სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში

ამ დღეებში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებს პირველი მოადგილის თანამდებობაზე იოსებ ხახალეიშვილი წარუდგინა. რწმუნებულის მოადგილის თანამდებობა კი ლევან კიკნაველიძემ დაიკავა.

იოსებ ხახალეიშვილი იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა. ამ პერიოდიდან ოთხი წელი _ რწმუნებულის მოადგილის პოზიციაზე. ლევან კიკნაველიძე დღემდე "ჭიათურმანგანუმ ჯორჯიის" მონიტორინგის სამსახურის უფროსი იყო, გასულ წლებში კი მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ქუთაისის სასამართლოში, სადაც სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციებს იკავებდა.

**ნინო ნანიტაშვილი**

# მსოფლიო დასუფთავების აქციას სამტრედიის მუნიციპალიტეტი შეუერთდა

**ნინო ნანიტაშვილი**

"გაეროს" გარემოს დაცვითი პროგრამის ინიციატივით სექტემბერში ტრადიციულად იმართება აქცია "დავასუფთაოთ მსოფლიო".

საქართველო 2010 წლიდან რიგით 121-ე ქვეყანა იყო, რომელიც ამ აქციას შეუერთდა. ამჟამად მსოფლიოს დასუფთავებაში 140-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის დღევანდელი ხელისუფლება მე-5 წელს ითვლის, რაც აქტიურად ასუფთავებს გარემოს. საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან ისინი ძირითადად ქალაქის ტერიტორიას ათავისუფლებენ.

წლევანდელ აქციაში ადგილობრივი თვითმმართველობისა და თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა 20 სექტემბრის დილით თავდაპირველად მე-6 საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიას მიაშურეს, ყოფილი ვანო სტურუას სახელობის კოლმეურნეობის ეზოს, სადაც განთავსებულია ცნობილი წყარო, რომლითაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ინტენსიურად სარგებლობს.

20 სექტემბერს დასუფთავების აქცია განხორციელდა ლაშა თევზაძის ქუჩაზე, სადაც ასევე გაიწმინდა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ლაშა თევზაძის სახელობის სკვერი. საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გაწმინდეს ფარნავაზის ქუჩა, ტერიტორია სარკინიგზო გადასასვლელიდან ბარათაშვილის ქუჩამდე, დიდგორისა და კოსტავას ქუჩები, იქ, სადაც დასუფთავების მანქანა ვერ ახერხებს შესვლას. ასევე დასუფთავდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ადმინისტრაციული სამსახურების მიმდებარე ტერიტორიები.

"სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, რომლებიც დილიდანვე აქტიურად იყვნენ ჩართულნი დასუფთავების აქციაში.

ვალერიანე ფოცხვერია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი: "როგორც ქვეყანაში, ასევე ჩვენთან კრიტიკულად დგას გარემოს დაბინძურების საკითხი. ხელისუფლებისა და მოქალაქეების ვალდებულებაა, მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ დასუფთავების აქციებს. აქედან გამომდინარე ყოველ თვეში მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები მონაწილეობას ვიღებთ ჩვენი ქალაქის დასუფთავებაში. ამით მაგალითს ვაძლევთ მოსახლეობას. მიუხედავად იმისა, რომ სამტრედიის დასუფთავების სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში ქალაქსა და მიმდებარე ტერიტორიას ასუფთავებს, მაინც ვიტყოდი, რომ სავალალო მდგომარეობაა ჩვენს მუნიციპალიტეტში. მოქალაქეები, რატომღაც, უდიერად ვეპყრობით ჩვენს ქალაქს და შედეგებზე არ ვფიქრობთ. პირობას ვდებთ, რომ ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია, ჩვენ არ დაველოდებით მსოფლიო დასუფთავების დღეს და ხშირად გამოვალთ ქუჩებში ჩვენი ქალაქის დასასუფთავებლად".

ნუგზარ ჯამბურია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: "მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები ყოველთვის სიხარულით უერთდებიან მსგავსი ტიპის აქციებს, რადგან დასუფთავებული გარემო, დასუფთავებული ქალაქი, ჩვენი მომავალი თაობის კეთილდღეობის საწინდარია. ახალგაზრდობა უნდა იზრდებოდეს ესთეტიკურად ლამაზ გარემოში და უნდა ჰქონდეს განცდა იმისა, არ დააბინძუროს გარემო. ეს ქალაქი ყველას საკუთრებაა, ნებისმიერ ტერიტორიას ისე უნდა მოვეპყროთ, როგორც ჩვენს საკუთარ ეზოებს ვეპყრობით. ამდენად, "დავასუფთაოთ მსოფლიო" არის და უნდა იყოს მომავალშიც გამოძახილი, რომელსაც ქუდზე კაცი აიტაცებს".

# ვტოვებდი "ქართულ ოცნებას", რომ არ დაბრუნებულიყო ივანიშვილი!

თეა ბაბუნაშვილი

***მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და გზებზე უკვე დასრულებული თუ ჯერ ისევ დაუსრულებელი სამუშაოების დასათვალიერებლად მუნიციპალიტეტში ჩამოსული მაჟორიტარი დეპუტატი გია მიქელაძე, როგორც სხვა დროს, ამჯერადაც განსაკუთრებით საქმიანი გახლდათ. იგი ნაბაკევისა და გომის თემში მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას თანხლებით გაეცნო. მათ მეგზურობას ნაბაკევის თემში მერის წარმომადგენელი ოთარ წულეისკირი, გომში მერის წარმომადგენლი ზაზა ნიკოლეიშვილი და გომის მაჟორიტარი ადგილობრივ საკრებულოში, დავით ამაღლობელი უწევდათ. იმ ინფრასტრუქტურული პროექტების უმრავლესობა, რომელიც იმ დღეს მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა მოინახულეს, უკვე დასრულებულია. ამჯერად მკითხველის ყურადღება გვინდა, უშუალოდ მაჟორიტარის მიერ პარლამენტის სხვადასხვა სხდომაზე დაყენებულ საკითხებზე გავამახვილოთ. როგორც ცნობილია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისადმი განსაკუთრებით კრიტიკული და საქმიანი მიდგომებით გამოირჩევა და კომიტეტებისა თუ უშუალოდ პარლამენტის სხდომებზე მისი აქტიურობა თვალშისაცემია.***

თუმცა, იქვე ხაზგასმით აღნიშნავს მაჟორიტარი, რომ: "თუ სახელმწიფოსთან ერთად მოსახლეობამაც არ მოინდომა, შედეგის მიღწევა გაჭირდება. ბუნებრივია, ინიციატორი ყველა კარგი საქმისა სახელმწიფო უნდა იყოს, მაგრამ არც ადამიანებს უნდა დაავიწყდეთ, რომ შრომის გარეშე სასურველი შედეგი არ დადგება. მე ყველაფერი გავაკეთე, რომ სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ სამტრედიის მასშტაბით, მთელ ქვეყანაში ჯეროვანი ბრძოლა დაწყებულიყო იმ საშინელი მწერის წინააღმდეგ, ფაროსანა რომ ჰქვია. შესაბამისი სტრუქტურებიც პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ საქმეს და შედეგიც სახეზეა. წელს არაერთ სოფელში დავკვირდი და ფაქტობრივად, არ არსებობს ეს ზიანის მომტანი პარაზიტი. განსაკუთრებით კარგი შედეგი მიიღეს იმ ფერმერებმა, რომლებმაც შესაბამისი სტრუქტურების მითითებით, სახელმწიფოს კვალდაკვალ გეგმაზომიერად ჩაატარეს შეწამვლითი სამუშაოები. მათ თხილის მოსავალიც კარგი აქვთ და არც სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები გაუნადგურდათ. საკითხი მარტო დააყენო და მოისმინო, არაა საკმარისი. სანამ შედეგს არ დაინახავ, მანამდე უნდა მიჰყვე მას. აი, ერთი შემთხვევა, სადაც შედეგი სახეზეა!"

განსაკუთრებული პრინციპულობა არ აკლდა გია მიქელაძის დამოკიდებულებას პედაგოგების ხელფასების მომატებასთან მიმართებაში. მიუხედავად განათლების სამინისტროს მიერ გატარებული იმ ცნობილი რეფორმისა, რომლის შედეგადაც ხანდაზმულმა მასწავლებლებმა სურვილის შემთხვევაში დატოვეს სკოლა და შესაბამისი გამოცდების რეზულტატით ახალგაზრდებს მიეცათ დასაქმების საშუალება მომატებული სახელფასო განაკვეთით, სისტემაში მაინც მნიშვნელოვანი ცვლილებებია საჭირო. პედაგოგების ხელფასის ზრდა სამტრედიის მაჟორიტარის კრიტიკის საგანი რეფორმამდეც არაერთხელ გახლდათ. როგორც ცნობილია, იგი ხშირად აყენებდა ამ საკითხს შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე: "მე არ ვამბობ, რომ ეს მხოლოდ ჩემი დამსახურებაა, მაგრამ, ალბათ ჩემი პატარა წვლილიც გახლავთ ამ საქმეში. მასწავლებლის ხელფასი 2022 წლამდე სამჯერ გაიზრდება. ეს მისასალმებელი ფაქტია. უკვე წელს 10 ათასი პედაგოგი მიიღებს გაზრდილ ხელფასს."

პროფესიული განათლების განვითარება გია მიქელაძისთვის ყოველთვის ინტერესის სფერო გახლდათ. გასულ წლებშიც მას არაერთგზის დაუყენებია პროფესიული და ტექნიკური სასწავლებლების აღდგენის საკითხი. დიდი ჯიხაიშის აგრარული კოლეჯის განვითარება მისთვის კარგა ხანია, პრიორიტეტული თემაა. "წელს დაიწყება და სავარაუდოდ, მომავალ წელს დასრულდება დიდი ჯიხაიშის აგრარული კოლეჯის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ახლო მომავალში იგი მსგავსი რანგის ევროპული სასწავლებლების დონეზე აიწევს. ამ სასწავლებლის ტრადიციები და საჭიროება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საკითხში, კარგა ხანია ცნობილია. ვფიქრობ, მისი დამსახურება მნიშვნელოვანი იქნება კვალიფიციური განათლების მიღებისა და საჭირო სპეციალისტების აღზრდის საქმეში." _ საკუთარ დამოკიდებულებას გვიზიარებს მაჟორიტარი დეპუტატი.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, გია მიქელაძე აღნიშნავს, რომ, ზოგადად ქვეყნის მასშტაბით, არაერთი სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. ბუნებრივია, სამტრედიაც ამ რიცხვშია და ამის საილუსტრაციოდ არცთუ ცოტა პროექტის დასახელება შეიძლება. "ეს უპირველესად "ქართული ოცნების" გუნდის დამსახურებაა. რაც შეეხება უშუალოდ სამტრედიას, გზის საფარი ისეთ ადგილებშიც იგება და წესრიგდება, სადაც არასდროს არ ყოფილა იგი. ბუნებრივია, ყველაფერი ერთად ვერ გაკეთდება. წლევანდელი წლის პრიორიტეტი საბავშვო ბაღებსა და სკოლებში სველი წერტილების მოწესრიგება გახლდათ. სამომავლოდ სხვა პრიორიტეტები გვექნება. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვარ მიმდინარე წელს ჩატარებულ სამუშაოთა რიცხვით. სასურველი იყო, მეტის მოსწრება და გაკეთება მოგვეხერხებია."

"ვამბობ ხმამაღლა, მე ვტოვებდი "ქართულ ოცნებას", რომ არ მობრუნებულიყო ივანიშვილი!" _ როგორც თავად აღნიშნა, მაჟორიტარმა დეპუტატმა გია მიქელაძემ მისი ეს გადაწყვეტილება სახელისუფლებო გუნდის ზოგიერთი წევრის არცთუ იშვიათად საკითხების და მოვლენებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების გამო მიიღო: "შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი დეპუტატი გახლდით ხელისუფლებიდან, რომელიც რიგ საკითხებთან მიმართებაში ისე გამოვდიოდი, როგორც ოპოზიციონერი. მე პრაქტიკული კაცი ვარ. ბევრ საკითხს ვერ ვწყვეტდი გულგრილი მიდგომების გამო. ვფიქრობდი, რა აზრი აქვს აქ ჩემს ყოფნას, თუ შედეგი დადებითი არ იქნა. თუ ვარ, საქმე უნდა ვაკეთო!" როგორც მან განაცხადა, სწორედ ბიძინა ივანიშვილის საქმეში ჩარევის შემდეგ მოხერხდა გომში ინერტული მასალის გადასატანად საჭირო ალტერნატიული გზის 12 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა. ეს გზა აუცილებელი გახლდათ, რათა ავტობანის მშენებლობის უდიდესი პროექტის განხორციელებას ხელი არ შეშლოდა. ამ გზის მოწესრიგებამდე სატვირთო მანქანების დაფნარი-ვანი-ბაღდათის შიდასახელმწიფოებრივი გზით სარგებლობის გამო, იგი, ფაქტობრივად, მწყობრიდან გამოვიდა. ამჯერად მისი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ეს სერიოზული პროექტი კაპიტალურად აღადგენს დაფნარი-ვანი-ბაღდათის მაგისტრალს და დაფნარიდან მოყოლებული გომის თემს თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ცენტრალური გზა ექნება.

გარდა ამისა, მაჟორიტარი დეპუტატის ძალისხმევით "ლოკომოტივის სტადიონის სრული რეაბილიტაციაც უახლოეს დღეებში დაიწყება. თუმცა, უკვე გამოცხადებული ტენდერი თავიდან უნდა გამოცხადდეს. როგორც გია მიქელაძე გვიხსნის, საქმე იმაშია, რომ: "უკვე შედგენილი პროექტი უეფას სტანდარტებით სტადიონის რეაბილიტაციისა, შეიძლება ითქვას, თავიდან შესადგენი გახდა. და ეს იმიტომ, რომ წინა პროექტში არ იყო გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის ადაპტირებული ტრიბუნები. საკმაოდ სოლიდური პროექტია, 2 მილიონ 800 ათასი ლარი დაიხარჯება. უშუალოდ სტადიონის საფარი მოწესრიგებულია." აქვე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტისა და ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი ძალისხმევით გასულ წელს უშუალოდ მოედანი და სარბენი ბილიკები მოწესრიგდა წყლის სისტემასთან ერთად.

სამტრედიისთვის უდიდესი პრობლემა, წყალი, კანალიზაცია, მწყობრიდან გამოსული სანიაღვრე მეურნეობა და გამწმენდი ნაგებობებია. გახდა თუ არა გია მიქელაძე მაჟორიტარი, მაშინვე დაჰპირდა სამტრედიელებს ქალაქისთვის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარებას. თუმცა: "ორი წლის განმავლობაში ვერ მივაღწიე ამ კუთხით რამენაირი წინსვლა ყოფილიყო. ისევ ბიძინა ივანიშვილის დახმარებით დაბოლოს დაიძრა საქმე და იგი საკუთარ კონტროლზე აქვს აყვანილი. საკვლევი სამუშაოები უკვე ჩატარებულია. ეს სისტემები სამტრედიაში რეაბილიტაციას არ ექვემდებარება, ახალია გასაკეთებელი. პროექტზე მუშაობა დაწყებულია და წლის ბოლომდე დასრულდება. უშუალოდ სამუშაოები ორ წელიწადს გასტანს. მისი ღირებულება, დაახლოებით, 80 მილიონი ლარი იქნება. მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ უკვე მოაწერა კიდეც ხელი შეთანხმებას გერმანულ კომპანიასთან. მე დავპირდი სამტრედიელებს, რომ ამას გავაკეთებდი და აუცილებლად მივიყვან საქმეს ბოლომდე, განურჩევლად იმისა, ვიქნები თუ არა პარლამენტში."

ინფრასტრუქტურული სამუშაოების დათვალიერებისას სახელდახელოდ ჩაწერილი ეს საუბარი, მაჟორიტარი დეპუტატის მიერ

სამტრედიელებისათვის ჩაბარებული მოკლე ანგარიში აღმოჩნდა. მან ხაზი გაუსვა, მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლიდან მაჟორიტარული სისტემა უქმდება, იგი მისი მშობლიური მუნიციპალიტეტის სამსახურში იქედან იქნება, სადაც მოღვაწეობას გააგრძელებს.

## ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე

შეხვედრა მშენებლებთან და საჯარო სკოლების დირექტორებთან ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე შედგა. ხუთი დღით ადრე მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს სხდომათა დარბაზში სასწავლო დაწესებულებებისა და იმ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეხვდა, რომლებიც ზაფხულის მანძილზე საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით იყვნენ დაკავებულნი. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ასევე საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატის, გრიგოლ მიქელაძის, ბიუროს უფროსმა თინათინ ხარძიანმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ელენე ბოხუამ და მთავარმა სპეციალისტმა ალექსანდრე თევზაძემ.

ვალერიანე ფოცხვერიამ საჯარო სკოლების დირექტორებს ის შეთანხმება გაახსენა, რომლის თანახმადაც სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს მუნიციპალიტეტის მერი მათ ობიექტებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ირგვლივ საქმის კურსში თანმიმდევრულად უნდა ჩაეყენებინათ. რაც შეეხება სამშენებლო კომპანიებს, მუნიციპალიტეტის პირველი პირი ზოგი მშენებლის საქმიანობით კმაყოფილია, ზოგიერთის მიმართ კი სამართლიანი პრეტენზიები გააჩნია.

მუნიციპალიტეტის მერმა შეხვედრაზე სოფელ ნოღის საჯარო სკოლის დირექტორს, ციალა ძნელაძეს, სამაგალითო უწოდა და მის სკოლაში უხმაუროდ, ყოველგვარი გართულებების გარეშე, ხარისხიანად ჩატარებული სამუშაოების გამო ნოღის საჯარო სკოლის დირექტორს მადლობა საჯაროდ გადაუხადა.

როგორც დირექტორმა, ხათუნა ფაილაძემ, "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში აღნიშნა, პირველ საჯარო სკოლაში სარემონტო სამუშაოებს შპს "გუდა 1978" აწარმოებდა და სკოლის ადმინისტრაციას მშენებელთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნია.

დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლა წლევანდელ პრიორიტეტებში ვერ მოხვდა, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, სკოლის დირექტორს, მანანა ხაზალიას, ვალერიანე ფოცხვერიასთვის მადლობა არ გადაეხადა დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლის მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისთვის.

ნინო ნანიტაშვილი

## "სირცხვილია" _ ანტისაოკუპაციო მოძრაობამ სამტრედიაში აქცია გამართა

17 სექტემბრის საღამოს 7 საათზე მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის მონაწილეებმა ოკუპაციის იგნორირება და "გავრილოვის ღამე" გააპროტესტეს. აქციის მონაწილეების თქმით, ანტისაოკუპაციო მოძრაობას სამტრედიაშიც გამოუჩნდნენ მხარდამჭერები, რომლებთანაც ისინი საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართულმა ძალადობამ გააერთიანა.

17 სექტემბრის აქციას შეუერთდა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაცია. მერიის წინ შეკრებილებს სიტყვით მიმართეს აქციის მხარდამჭერებმა და ორგანიზატორებმა. მიშა მშვილდაძის მხრიდან გაჟღერდა, რომ 20 სექტემბერს, 3 თვის თავზე, ტრადიციული ფორმატის ბოლო აქცია დედაქალაქში, რუსთაველის პროსპექტზე გაიმართება.

ნინო ნანიტაშვილი

# გვანლიებს აფხაზეთი

გუშინ იყო ყველაფერი თითქოს, არადა, მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსი სეპარატისტების მიერ გულმიცემულმა აფხაზებმა საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში ქართველთა ეთნიკური წმენდა განახორციელეს.

300 000-მდე დევნილი, ალმოდებული სოხუმი, გაგრა... უმოწყალოდ დახოცილი საჯიშე ქართველები, ერთი სიტყვით, აფხაზეთის ომიც ომისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით განვითარდა, რომლის შედეგებს დღესაც განიცდის სრულიად საქართველო.

მართალია, ხელისუფლების მიერ დევნილთა საკეთილდღეოდ მთელი რიგი ღონისძიებები ტარდება, თუმცა მაინც მძიმეა ფუძეაყრილ ქართველთა ყოფა. ძნელია უსასრულო მოლოდინი. ბევრმა სამარეში თან ჩაიტანა აფხაზეთში დაბრუნების აუხდენელი ოცნება.

27 სექტემბერს დაეცა სოხუმი.

დროებით დავკარგეთ აფხაზეთი.

შეუძლებელია ისაუბრო 1993 წლის სექტემბერში აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაზე და არ გავიხსენოთ ჟიული შარტავა. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, რომელმაც პატრიოტიზმისა და გმირობის არნახული მაგალითი გვიჩვენა. ეროვნულ გმირთა თანავარსკვლავედში ბრწყინავს დღეს მისი სახელი.

სამშობლო არ ივიწყებს იმ პატრიოტ ქართველებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომს რომ ემსხვერპლნენ.

მიუხედავად რუსეთის დიდი აგრესიისა და თავსმოხვეული მცოცავი ოკუპაციისა, წინ ვერაფერი აღუდგება საქართველოს ინტეგრაციას საერთაშორისო ავტორიტეტულ ორგანიზაციებში. აუცილებლად მოვა დრო, როცა საქართველოს დაუბრუნდება აფხაზეთი, ალტერნატივა არ გააჩნია ჩვენი ქვეყნის ტერტორიული მთლიანობის აღდგენას.

მანამ კი ისევ უქართველოდ თენდება აფხაზეთში.

**ლევან გაბეჩავა**

# ბოღმის, ღვარძლის ენა ქართულ პოლიტიკაში

რიტორიკით თავს არავის შევაწყენთ, რეალურ წარსულს შევახსენებთ მკითხველს ორიოდე წინადადებით. წინათ უხმლოს ხმლიანი ქართველი არ შეერკინებოდა, დამარცხებული, დაჭრილი თუ გარდაცვლილი მოწინააღმდეგისთვის თავისებურ პატივგებას ითვალისწინებდა ქართული წესი და ადათი.

რაგინდ უცნაურადაც უნდა გვეჩვენოს, მავანთაგან სისხლისმსმელად აღიარებულ სტალინსაც კი ტყვეთა მიმართ ერთგვარად ჰუმანური ბრძანება ჰქონდა გაცემული მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას.

იმ დროიდან მოვლენები ბევრჯერ ბევრნაირად შეიცვალა. გადაფასდა ღირებულებები, ფორმაცია ფორმაციამ ჩაანაცვლა. მეტ დემოკრატიულობაზეც ვსაუბრობთ ხმამაღლა, თავდაჯერებით, თუმცა ქართულ პოლიტიკაში, პოლიტიკურ ლექსიკაში აშკარაა, რომ ბოღმამ და ღვარძლმა, ცინიზმმა მკვიდრად დაისადგურა.

ქვეყნის "მთავარ ფაროსანას" ყოფილ ექსპრემიერს, ბიძინა ივანიშვილს უწოდებენ.

ექსპრეზიდენტი საკაშვილი "გიჟად" ჰყავთ მონათლული.

ამ დღეებში კი, ერთ-ერთმა "პატივცემულმა" პოლიტიკოსმა აჭარის მთავრობის მეთაური "დაუსრულებელ ადამიანად" მოიხსენია?!

ხოშტარია ხოშტერია... მსგავს ფრაზებს ხშირად წავიკითხავთ მედიაში და ხშირადაც გვესმის ტელეეკრანებიდან. არადა, ყველამ კარგად ვიცით, ჩვენი პოლიტიკური სიმპათიების მიუხედავდ, რომ არც ერთია ფაროსანა, არც მეორე გიჟი და არც მესამე დაუსრულებელი ადამიანი.

არახალია ქართული და, ზოგადად, პოლიტიკასათვის აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ყველა შემთხვევაში დაპირისპირება, ოპონირება ჯანსაღი უნდა იყოს და არა ცინიზმსა და ბილწსიტყვაობაზე დაფუძნებული.

ეს გვინდოდა გვეთქვა და, ვიმედოვნებთ, ნათქვამის მართებულებაში ყველა თუ არა, ბევრი აუცილებლად დაგვეთანხმება.

დაბოლოს, სად ჩანს ჩვენი სამიათასხუთასწლოვანი სახელმწიფოებრივი სიბრძნე და წინდახედულობა?!

**ლევან გაბეჩავა**



# ღვთისმშობლობას გილოცავთ!

ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა საქართველო, აქ ინახება უდიდესი სიწმინდე _ ქრისტეს კვართი ღვთისმშობლის ხელით მოქსოვილი. დედა ღვთისა მფარველობს ჩვენს ერს. საქართველოში მრავალი ტაძარი და მონასტერია აგებული ღვთისმშობლის სახელზე.



20 საუკუნის წინ იუდეაში იშვა მარიამი. მისი მშობლები სიკეთითა და სიწმინდით გამორჩეული ადამიანები იყვნენ. როდესაც სამი წლისა გახდა მარიამი, იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს და ღმერთს შესწირეს. აქ იგი 14 წლამდე იზრდებოდა.

რაკიდა მარიამს გაუთხოვრობის აღთქმა ჰქონდა დადებული, იგი დაწინდეს 80 წლის მოხუც იოსებზე, რომელიც მეორე მშობლად მოევლინა მარიამს.

...აღსრულდა ღვთის ნება, ყოვლადწმინდა ქალწულმა შვა ძე უფალი იესო ქრისტე.

ღვთისმშობლის სახელობისაა არაერთი საეკლესიო დღესასწაული. 21 სექტემბერს (ახალი სტილით) აღინიშნა შობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.

ტრადიციისამებრ მოქმედ ტაძრებში ამ დღეს შესაბამისი ღვთისმსახურება ჩატარდა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დაიცვას და გააძლიეროს საქართველო, ქართველი ერი.

**ლევან გაბეჩავა**

# 27 სექტემბერს ჯვართამაღლებაა

ქრისტიანული საეკლესიო დღესასწაული ჯვართამაღლება ყოველ წელს 27 სექტემბერს (ძველი სტილით 14 სექტემბერს) აღინიშნება. დღესასწაულის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა გადმოცემა არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, რომელიც უფრო სარწმუნოა, ჯვართამაღლება აღნიშნავს იმ დღეს, როდესაც იერუსალიმის მახლობლად იპოვეს ჯვარი, რომელზედაც იესო ქრისტე იყო გაკრული. ჯვარი იმპერატორ კონსტანტინეს დედამ იპოვა. ყველასთვის შესაძლებელი რომ ყოფილიყო ჯვრის დანახვა, იერუსალიმის პატრიარქმა მაკარიოსმა აღმართა, ანუ აღამაღლა ჯვარი. აქედან წარმოდგა დღესასწაულის სახელწოდებაც.

**ლევან გაბეჩავა**

# შემოდგომის ჯადოსნური ღამე ბობოქარი ბგერებით

თეა ბაბუნაშვილი

***თითქოს არა, მართლა იქ იყავი, სადღაც, არაამქვეყნიურ იდუმალებაში. შემოდგომის საღამო ბგერებით ბობოქრობდა. საუკუნეგამოვლილ და ახლა ოქროსფერშეპარებულ სიმწვანეში ჩაფლული მელოდია ისე არ ჟღერდა როგორც სხვაგან, ყველაზე სახელგანთქმულ დარბაზებში. იქ სხვა იყო მისი ხიბლი და მხოლოდ ტაშით შეგეძლო გამოგეხატა მისდამი არათუ სიამოვნებით, ნეტარებით აღვსილი მორჩილება. მუსიკა სულს მოედო და მუსიკა სუნთქვად იქცა. იმ იდუმალებაში ყველაფერი გაღიზიანებდა ამქვეყნიური: ხმაური, შეხება... ახლა მარტო ის იყო, რაც გატყვევებდა უენოდ, უსიტყვოდ, მელოდიის ფრაზებით გიმორჩილებდა. გამორკვევა არ გინდოდა, არ გინდოდა ყოფიერებას ისევ შეხებოდი გარინდული საზღაპრეთიდან. ჯადოსნური იყო ღამე, ციმციმ რომ მოხსნა ურდული სულის გადარაზულ კარიბჭეს და გაუხეშებული, დაკოჟრილი ყოველდღიურობა ლანდების ლაციცს შეატოვა, სარკესთან დემონივით აცეკვებულ ლანდების ლაციცს. მისი გახდა მიწაც და ცაც, მისი იყო უკვდავებაც ამ ასწლოვანი ხეების ჩრდილქვეშ. მისი ფერი ჰქონდა საუკუნის გაყვითლებულ ფრაგმენტებს, ფერგაცრეცილი მოგონებები, ამქვეყნიური პრიმიტივიზმით დახეთქილი კანი შემოგეძრო და ცრემლით თვალდანისლულს, სიამოვნებით აღვსილს გესმინა ბგერების კორიანტელისთვის.***

ჯადოსნური ღამე იდგა ნიკოლაძისეულ კარმიდამოში, ლევან შენგელია უკრავდა, ამერიკაში მოღვაწე პიანისტი, პატარა სამტრედიაში დაბადებულ-გაზრდილი, საქვეყნოდ ცნობილი რომ გახდა მერე. ასეც ერქვა იმ საღამოს, ''ჯადოსნური ღამე ლევან შენგელიასთან ერთად''.

ყველაფერი საჩხერეში, მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმში დაიწყო. პირველი მიძღვნა მაშინ ჰქონდა დიდი ქართველი პოეტისადმი. მერე მისივე ინიციატივით გაგრძელდა, ტრადიციად იქცა და ახლა ყოველწლიურად კიდევ უფრო მეტი პატივისცემისა და ამასთანავე, ახალ თაობაში მათი პოპულარიზაციისთვის, ყველა დიდ ქართველს, საზოგადო მოღვაწეს, ყველა ჭშმარიტ მამულიშვილს, მუსიკალურ მიძღვნად ღია ცის ქვეშ თითო კონცერტს ჩუქნიან. საღამოების სერია, ძირითადად, მუზეუმებსა და განსაკუთრებულ ადგილებში იმართება.

ამჯერად სურვილი აისრულა ვირტუოზმა. საკუთარი თანაქალაქელებისთვის უკრავდა ლევან შენგელია დიდ ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში. ''ახლა ისე ვნერვიულობ, როგორც მაშინ, კულაშის სამუსიკო სკოლის პირველკლასელი, ჩემს პირველ პედაგოგთან, ციცინო ღვინერიასთან ერთად რომ ვუკრავდი. ვიცი, იგი ახლა მსმენელებში, სადღაც აქ ზის და მადლობა მას ამ ლევან შენგელიასთვის! მე დღეს თქვენთვის ვუკრავ, ჩემი ყველაზე საიმედო მსმენელისთვის და მინდა, განსაკუთრებით ჯადოსნური გახდეს ეს ღამე!'' _ თქვა მან სცენიდან და მეგობრები, მასთან ერთად სცენაზე მდგომი ადამიანები წარუდგინა საზოგადოებას, ისინი, ვინც განსაკუთრებული ხიბლი შეჰმატეს საღამოს: გიორგი მეტონიძე, რეჟისორი და საღამოს წამყვანი. უპირველესად მეგობარი ლევან შეგელიასი, რომელთან ერთად აგერ უკვე 20 წელია მოდის. დრამი და დასარტყამი ინსტრუმენტი _ თორნიკე ჩხარტიშვილი, დავით შერვაშიძე, ბას-გიტარა და საყვირი. და ლელა ლომთაძე, ვიოლინოზე შემსრულებელი, რომლის დამატყვევებელი ვოკალი სანახაობის ჯადოსნურობის უპირველეს კომპონენტად იქცა. საღამოს ტრანსლირებას რადიო ''საუნჯე'' იმ წუთებში ნიუიორკში ახდენდა. ემიგრანტები ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში გამართულ კონცერტს ამერიკის დედაქალაქიდან უსმენდნენ.

ეს სანახაობა, ფაქტობრივად, 8 დღეში მომზადდა. აღნიშნა კიდეც პიანისტმა: ''უდიდესი მადლობა მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას. მისი მხარდაჭერის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. ძალიან მოკლე დროში, 8 დღეში მომზადდა ეს ურთულესი პროგრამა. ჩემი სურვილი იყო და მე და ჩემი მეგობრები ბოლომდე დავიხარჯეთ ამისთვის. უდიდესი მადლობა გულისხმიერებისთვის მერის მოადგილეს, დავით ბახტაძეს. იგი საუკეთესო ადამიანია, ჩვენ უკვე დავმეგობრდით.''

და კიდევ ერთი განსაკუთრებული მადლობა იმ სცენიდან თეიმურაზ შაშიაშვილის მისამართით გაისმა. ''ის რომ მე დღეს ასეთი ლევან შენგელია ვდგავარ თქვენს წინაშე, უბადლო ადამიანის, ბატონი თემურ შაშიაშვილის დამსახურებაა. მადლობა მას იმისთვის, რომ არსებობდა ჩემს ცხოვრებაში. მან მაქცია ასეთად, ყველანაირად შემიწყო ხელი ქვეყნის საზღვრებს გასცდენოდა ჩემი შემოქმედება.'' _ აღნიშნა ლევან შენგელიამ.

განსაკუთრებული ოვაციები სცენაზე ციცინო ღვინერიას ასვლას მოჰყვა. პირველი მასწავლებელის და უკვე საქვეყნოდ ცნობილი მოსწავლის შეხვედრას ბევრი წლის წინანდელი გულწრფელობა, კულაშის სამუსიკო სკოლაში, პირველ გაკვეთილზე რომ შეხვდნენ ერთმანეთს, ჯერ ისევ არ განელებოდა. ''მე ვიცოდი, დიახ, მაშინვე დავიჯერე, რომ ლევანი ძალიან დიდ წარმატებას მიაღწევდა. ახლაც თვალწინ მიდგას პატარა ბიჭი, კლასიკური მუსიკის შესრულებისას ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებს გაკვეთილზე საკუთარ იმპროვიზაციას რომ შეჰმატებდა. მას იმთავითვე ეტყობოდა _ მუსიკისთვის იყო გაჩენილი.'' _ ეს მერე თქვა ციცინო ღვინერიამ, სცენიდან ჩამოსულმა, ბედნიერებით გაბრწყინებული ვარ ახლაო, რომ გაგვიმხილა.

ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებების კვალდაკვალ საკუთარი შემოქმედებაც წარუდგინა მსმენელს მუსიკოსმა. საღამოს კურიოზად ელექტროფორტეპიანო იქცა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ვერ გაუძლო ვირტუოზს! მართალია, კულტურის სამსახურის პასუხისმგებელ პირებზე განაწყენებული ჟურნალისტებიც ''მოიძებნენ'' იქვე, მაგრამ ეს არაფერი, სანახაობის ვირტუოზულობა ყველას ყველა წყენას ავიწყებდა!

ინდიქტიონით ახალი წელიწადი, 14 სექტემბერი, სამტრედიელებისთვის ახალი წლებისგან გამორჩეულად აღინიშნა დიდ ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში. განსაკუთრებულობა დიდი ნიკოთი დაებედა მის მიერ პატარა ევროპად ქცეულ ამ ეზო-კარს და ეს დღეც მათ შორის დარჩება, განსხვავებული ნიშათი რომ გამოარჩევს აქაურობას.

ჯადოსნური ღამე ლევან შენგელიასთან ერთად ემოციებად ოვაციებით იღვრებოდა. იგი იმპროვიზაცია იყო, დიდი იმპროვიზაცია, მხოლოდ აღმაფრენით სავსეს რომ დაგანახებს ცხოვრებას.

ზუჩა ჯიბღაძის ფოტოები

# სექტემბერი სხვა მზით სტყორცნის სხივს ფანჯარას

თეა ბაბუნაშვილი

*ათასი ფერით, ათასი ბგერით სავსე დილამ მზისადარი გოგო-ბიჭები საგაულად მოირგო. შემოდგომის გიჟმაჟმა კორიანტელმა "სკოლისაკენ ჰერი, ჰერიო!" შემოსძახა ლაღებს, სიყვარულად ანთებულებს. ქუჩებმა, შუკებმა, ორღობეებმა ხალისი დაიბრუნეს, სიცელქეს მონატრებული სკოლის შენობები, საბავშვო ბაღები და აუდიტორიები ხმაურით აივსო. იდუმალების მნიშვნელობა ჯერ არ იციან, თუმცა, იდუმალებით სავსე თვალებით გადააბიჯეს ზღურბლს, სადაც პირველი ნაბიჯები დაულოცეს პირველკლასელებს ალერსიანმა მასწავლებლებმა. მერხებთან მოკალათდნენ და სუფთა დაფაზე მიწერილი "აი ია" მათთვის გასაოცარ ორომტრიალში დაუვიწყარ შთაბეჭდილებად ჩადეს მოგონებების სკივრში. აცრემლებული თვალები ჩუმად შეიმშრალეს და იმ ქვეცნობიერს მიენდნენ, დედის კალთას პირველად რომ გააშვებია ხელი და ზღაპრულ ბილიკებს შეატოვა.*

*საბავშვო ბაღები ცრემლიანი "დედა მინდათი" ახმიანდა. უმაღლესი სასწავლებლები გულში ვერდატეული მომავლის ინტერესით.*

*ღიმილი და იმედი დააბრუნა სექტემბერმა! სასწავლო წელი განახლდა საქართველოში.*

ტრადიციას არც წელს უღალატა და მუნიციპალიტეტის მერმა ახალი სასწავლო წელი საკუთარი სკოლიდან მიულოცა მოსწავლეებსა და პედაგოგებს. "აქ არ ვარ მერი, აქ სკოლის მოსწავლე ვარ, პატარა ბიჭი, რომელსაც დღემდე

უყვარს საკუთარი სკოლა და მასწავლებლები." _ ასეთი გახლდათ მისი პათოსი ეწრის საჯარო სკოლაში მისვლისას. სკოლაში, რომელსაც არაერთი წარმატება ჰქონდა გასულ წელს და იგივეს იმედები აქვთ ამჯერადაც. "ნაყოფიერი ყოფილიყოს იგი ყველა თქვენგანისათვის. ღირსეული შრომისა და ჭეშმარიტი ცოდნის დაფასება მოეტანოს მას და რწმენა, რომ ქვეყანას განათლებული ადამიანები სჭირდება და ეიმედება. მონდომება და ბეჯითობა დაებედოს ამ სასწავლო წელს!" _ ეს კი ვალერიანე ფოცხვერიას, როგორც მუნიციპალიტეტის მერის გზავნილია მშობლიური სკოლიდან.

ბუნებრივია, მისალოცად ყველა საჯარო სკოლასა და საბავშვო ბაღში მისვლა ვერ შესძლო ვალერიანე ფოცხვერიამ, თუმცა მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პედკოლექტივს მაინც ესტუმრა. სწორედ ამ სკოლის ეზოში ისაუბრა იმაზე, რომ ახალი სასწავლო წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ყველა საგანმანათლებლო სასწავლებელი მეტ-ნაკლები მზადყოფნით შეხვდა. წელს პრიორიტეტად სველი წერტილებისა და გადახურვითი სამუშაოების მოწესრიგება აიღეს და სიტყვა საქმედ აქციეს. მომავალი წლები სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მოგვარებით დაიწყება და საბოლოოდ ყველა ხარვეზი, რაც ევროპულ სტანდარტებს აშორებს სასწავლო დაწესებულებებს, აღმოიფხვრება.

მშობლიურ ეწერსა და შემდეგ ნინოშვილის უბანში საბავშვო ბაღებიც მოინახულა. ისევე როგორც სკოლებში, სკოლამდელ დაწესებულებებშიც პრიორიტეტად აღებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები სასწავლო წლის განახლებამდე დასრულდა. საბავშო ბაღებში აღსაზრდელების მატება წელსაც თვალსაჩინო გახლავთ.

იმაზე, რომ მუნიციპალიტეტს წელს 600-მდე პირველკლასელი ჰყავს, ამას გარდა პედაგოგების მისამართით გატარებულ საახლეებზე საუბრობდა საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი ალექსანდრე თევზაძე. მისი სიტყვები სასწავლო წლის განახლების მილოცვასაც შიცავდა: "ახალი სასწავლო წელი წარმატებების მომტანი ყოფილიყოს ყველა მოსწავლის, მათი მშობლებისა და პედაგოგისათვის. ჩვენს მუნიციპალიტეტში სერტიფიცირებული მასწავლებლების მნიშვნელოვანი მატება სულ უფრო თვალშისაცემი ხდება. მოწესრიგებული ხვდება სასწავლო წელს მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა. პირველკლასელებს სახელმწიფო უსასყიდლოდ გადასცემს პორტატულ კომპიუტერებსა და სახელმძღვანელოებს. რაც შეეხებათ გასული წლის კურსდამთავრებულებს, მუნიციპალიტეტს არაერთი გრ-

ანტოსნით შეუძლია თავი მოიწონოს. ვიმედოვნებთ, ამ ახლად დაწყებული სასწავლო წლის ბოლოს წარმატებული სტუდენტების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. გარდა ამისა, გასულ წელსაც მრავლად ჰყავდა მუნიციპალიტეტს და წელსაც ეყოლება სხვადასხვა ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეები. დამეთანხმებით, ეს, უპირველესად პედაგოგიური საზოგადოების დამსახურებაა. ამიტომ, შემდგომი წარმატებების იმედით მინდა გზა დავულოცო ახალ სასწავლო წელს ჩვენს მუნიციპალიტეტსა და მთელ საქართველოში."

ის, რომ გოგებაშვილის "დედაენა" დაუბრუნდა სკოლებს, წლევანდელი სასწავლო წლის უპირველეს მიღწევად ითვლება. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ეს ფაქტი სასიამოვნო სიახლე ბევრისთვის აღმოჩნდა. მართალია, არაერთი მათგანისათვის, ვინაც ბევრი წლის წინ გოგებაშვილის "დედაენით" ეზიარა განათლების აღმართებს, ცოტა უჩვეულო იყო იმ თხელი წიგნის ხილვა, "ბუქებთან" ერთად რომ დახვდათ პირველკლასელებს მერხებზე, მაგრამ, რაც მთავარია, კვლავ "დედაენით" ვიწყებთ, თუნდაც, იმპროვიზებულით, მაგრამ მაინც "დედაენით"!

სასწავლო წლის დასაწყისშივე, მის პირველსავე დღეს, მუნიციპალიტეტის მერიამ სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყო მოსწავლეებს. "კარგა ხანია მიდიოდა მოლაპარაკება, მაგრამ, რატომღაც, აქამდე ვერ ხერხდებოდა. დაბოლოს სწავლის განახლების ამ მხიარულ დღეს დავამთხვიეთ თქვენს ლამაზ ქალაქში სტუმრობა." _ აღნიშნა ჯგუფ "რეზო და ბავშვების" სოლისტმა რეზო ბლიაძემ. ეს ცნობილი და ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებით საყვარელი კოლექტივი მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებითა და ინიციატივით ესტუმრა სამტრედიას და ცოტა ღრუბლიანი 16 სექტემბერი ჩარჩოში ჩაუტეველი მხიარულებით აავსო. "რატომ რეზო და ბავშვები? იმიტომ, რომ მე რეზო ვარ, ისინი კი, მართალია, თმადათხელებული, მაგრამ მაინც ბავშვები! ჰოდა, ვისურვებდი ჩვენთვისაც და ყველა ბავშვისთვისაც ბავშვობა იმდენად ტკბილი მოგონება ყოფილიყოს, რომ არასდროს მოგვწყენოდეს და მუდამ მოგვნატრებოდეს!" _ ამბობდა ჯგუფის სოლისტი რეზო და კულტურის სახლის სცენას განსაკუთრებული ადრენალინით ავსებდა..

კიდევ ერთმა სასწავლო წელმა აახმიანა ზაფხულით გადაღლილი პატარა ქალაქი. ხვალიდან სხვანაირი გათენდება დილა და სხვა სიცოცხლე მოედება მიწყნარებულ ქუჩებს. ხვალიდან სხვა მზე სტყორცნის სხივს ფანჯარას იმ მზესთან ერთად, შემოდგომას რომ ოქროში ჩასვამს.

# სწავლის და საალმზრდელო პროცესის განახლების ჯვალდაჯვალ

***სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგორზღვის საჯარო სკოლის მთელი მონაგარი 22 ბავშვია! ამდენი მოსწავლე მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სკოლის პედაგოგს ერთ გაკვეთილზე უზის! სკოლა, მეწყრულ ზონაში მდებარე, გაღმა ზონის სოფლის იმედი და ნათელი წერტილია! ნიგორზღვას მიგრაციულ პროცესებთან გამკლავება უჭირს, ამდენად, წლებია, სკოლა მცირე კონტინგენტის ამარაა დარჩენილი!***

***აქ წლეულს ზარი ერთადერთი პირველკლასელისათვის დაირეკა, იგი მათე ტონიაა, სკოლის ღვაწლმოსილი მათემატიკის მასწავლებლის, ნათელა ტონიას შვილიშვილი. ამ სკოლას არაერთი ცნობილი პიროვნება აღუზრდია, საუკეთესო ტრადიციებს სკოლა ამ მცირე კონტინგენტითაც ავრძელებს. განათლების და მეცნიერების სამინისტრო მოსწავლეების სკოლამდე ტრანსპორტით მიყვანას უზრუნველყოფს, რაც ხელშემწყობი ფაქტორია აქაური ბავშვებისათვის.***

_ სახელმწიფოებრივად უნდა ვიაზროვნოთ, ჩვენი ყურადღება განსაკუთრებულად მაღალმთიან სოფლებს უნდა მივაპყროთ. ამიტომაც გადავწყვიტე, ვეწვიო და სასწავლო წლის დაწყება თავადვე მივულოცო სოფელ ნიგორზღვის საჯარო სკოლას და იქიდან სრულიად საქართველოს მოსწავლეებს და პედაგოგებს. _ გვეუბნება საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია და მასთან, საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარესთან, ბადრი შენგელიასთან და მედიის წარმომადგენელთან ერთად ავტომანქანით გაღმა ზონის ამ სოფელში მივემგზავრებით.

სკოლის ორსართულიანი შენობა კეთილმოწყობილია, ახალი სასწავლო წლისათვის ზაფხულის პერიოდში რამდენიმე ოთახი გაარემონტეს. სკოლაში საზეიმო განწყობაა. ეროვნული ჰიმნის ფონზე სკოლის წარმატებულმა მოსწავლეებმა და ერთადერთმა პირველკლასელმა სახელმწიფო დროშა აღმართეს. სკოლის გარე პერიმეტრის და საკლასო ოთახების დათვალიერების შემდეგ სტუმრები საზეიმო ღონისძიებას შეუერთდნენ. შეკრებილთ მიესალმა სკოლის დირექტორი, გრიგოლ კიკვაძე, მან სასწავლო წლის დაწყება მიულოცა მოსწავლეებს, განსაკუთრებულად ერთადერთ პირველკლასელს მიესალმა და ყველას წარმატებული სასწავლო წელი უსურვა.

შეკრებილთ მიესალმა ნუგზარ ჯამბურია:

"დღეს ამ სკოლაში ნამდვილად ცოდნის ზეიმია, მრავალი სასწავლო წელი მომელოცოს თქვენთვის, ბავშვებო, პედაგოგებო, მშობლებო, დარწმუნებული ვარ, ამ ზნეობრივად და სულიერად ჯანსაღ გარემოში ღირსეული მამულიშვილები გაიზრდებით! ჩვენი ერის, მიწა-წყლის ღირსეული პატრონები იქნებით! ამ სკოლის დირექტორს შეეძლო, თავისი შვილი ქალაქის სკოლაში შეეყვანა, მაგრამ ნამდვილად დასაფასებელია მისი შემართება! განათლების სფეროში მრავალწლიანი გზა გამოვიარე, ჩემთვის კარგად არის ცნობილი ყველა პრობლემა, რაც განათლების სფეროშია, ქვეყანაში დღეს არის ტენდენცია, ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდეს განათლების სფეროში, სახელმწიფომ გადადგა ბევრი კარგი ნაბიჯი, ეს იქნება პედაგოგებისათვის ხელფასების ზრდა თუ სხვა რამ. მივესალმები თქვენს მზაობას მოსწავლეებო, პედაგოგებო, შევეცდები, ყოველთვის დაგიდგეთ გვერდით, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი".

ბადრი შენგელია: "მოგესალმებით ჩემო ძვირფასო მოსწავლეებო, პედაგოგებო, მომავალი თაობის აღზრდაში თქვენს მიერ შეტანილი წვლილი ნამდვილად დასაფასებელია, ბავშვებო, გიყვარდეთ თქვენი მამული და ეს სიყვარული კარგი სწავლით და აღზრდით გამოხატეთ, ჭეშმარიტად პატრიოტული სულისკვეთებით, რაც უფრო ბევრი ქართველი აღიზრდება, მით მეტი წინსვლა და წარმატება ექნება ქვეყანას! ბევრჯერ მითქვამს, ახლაც გავიმეორებ: მთავარი არის სწავლა! ისწავლეთ და გამოადექით ქვეყანას!"

შემდეგ ამავე სკოლის საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები მარიამ კიკვაძე და ლელა ვაშაყმაძე სტუმრებმა სიგელებით დააჯილდოვეს. საბა თავაძემაც წარმატებით დაასრულა მეცხრე კლასი და რადგან ნიგორზღვაში სწავლება 9 წლიანია, მან სწავლა საჯავახოს საჯარო სკოლაში გაგრძო.

ნიგორზღვის შემდეგ სტუმრები დაბლა გომის საჯარო სკოლას ეწვივნენ, სადაც სკოლას მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია გომის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელ პირებთან ერთად ესტუმრა. მოსწავლეებს სწავლის დაწყება მიულოცეს ზაზა ნიკოლეიშვილმა, გამგებლის წარმომადგენელმა გომის ადმინისტრაციულ ერთეულში, მთავარმა სპეციალისტმა ჯონი თევზაძემ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, გომის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა, დავით ამაღლობელმა. დაბლა გომის საჯარო სკოლის დირექტორმა, ომარ ჩაჩუამ სიამაყით განუცხადა სტუმრებს, რომ სკოლის 8 კურსდამთავრებულიდან წლეულს 7 სტუდენტი გახდა, აქედან ერთი, მარიამ ჩახოიანცი 100 პროცენტიანი დაფინანსებით სახელმწიფო სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა, სამი მოსწავლე კი _ უფასო ფაკულტეტზე. სტუმრები პირველკლასელების პირველ გაკვეთილზეც შევიდნენ და პატარებისგან ლექსად თქმული უამრავი დაპირება მოისმინეს.

მომდევნო ობიექტი, სადაც სტუმრები მივიდნენ, საბავშვო ბაღი იყო. ბაღის შენობა აწ განსვენებული ბიზნესმენის, ტარიელ ჩაჩუას ძალისხმევით აშენდა ბაღის მმართველმა სოფო გოგიშვილმა "სამტრედიის მაცნეს" განუცხადა, რომ წლეულს 40 აღსაზრდელი მიიღო ბაღმა, მათი რაოდენობა სავარაუდოდ, სამოცამდე გაიზრდება, გასულ წელთან შედარებით მატებაა, 19 აღსაზრდელთან ახალი, სასკოლო მზაობის პროგრამით მიმდინარეობს მუშაობა. პატარებთან გასაუბრების და ფოტოსესიის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები გომის საჯარო სკოლას ეწვივნენ და სკოლის მოსწავლეებს მიულოცეს სასწავლო წლის დაწყება. სტუმრებს მადლობა გადაუხადა დირექტორმა მაყვალა არაბიძემ და წარმატებები უსურვა.

დატვირთული სამუშაო დღის განრიგში საპატიო მასპინძლის სტატუსი კორმაღლის საჯარო სკოლასაც ერგო. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მზია ზაქრაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა:

" სკოლაში 82 მოსწავლე სწავლობს, ძალიან დიდ მადლობას მოვახსენებ სტუმრებს, მათგან ყოველთვის ვგრძნობ ხელშეწყობას, ვთხოვე დამხმარებოდნენ და შეეკეთებინათ სპორტდარბაზის კარი, ეს პრობლემა უკვე მოიხსნა, სკოლის შენობა ბევრ ბავშვზეა გათვლილი, მაგრამ, მოგეხსენებათ, სოფლიდან მიგრაციას წინ ვერ აღვუდგებით. მადლობა ბატონ მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს და ყველა სტუმარს დღევანდელი დღის გალამაზებისათვის".

ბოლო ლოკაცია გომის საბავშვო ბაღი იყო, სადაც სტუმრები სააღმზრდელო პროცესს დაკვირდნენ. პატარები სიმღერებით შეეგებნენ სტუმრებსა და მათთან სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

# მე-4 ბაგა-ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო წელი დაიწყო

ნინო ნანიტაშვილი

19 სექტემბერს ქალაქის №4 ბაგა-ბაღში ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყება განსაკუთრებულ ვითარებაში აღინიშნა. საზეიმო განწყობილებას ქმნიდა ლამაზად მორთული ეზო. მმართველი ნანა დუნდუა, მეთოდისტები მარინა ბაღდავაძე და მარინა ღვინერია, მთელი ბაღის კოლექტივი მხიარული განწყობით შეეგებნენ მე-4 ბაგა-ბაღში მოსულ პატარებსა და მათ მშობლებს. მათ ახალი სააღმზრდელო წლის დაწყება მიულოცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილემ, მარიანა შენგელიამ. უფროსებმა თითოეულ პატარას ხალისიანი, შინაარსიანი და ნაყოფიერი დღეების გატარება უსურვეს ბაგა-ბაღში.

მარინა შენგელია: "მე-4 ბაგა-ბაღში 15 ასაკობრივი ჯგუფია, ყველანი გამორჩეულები არიან ერთმანეთისაგან.

ამ ბაღის თანამშრომლებით აღფრთოვანებული ვარ, რომ ისინი არიან ერთიანნი, შემოქმედნი და უაღრესად შრომისმოყვარენი.

ვუსურვებ მათ არაერთი სანახაობრივად ლამაზი პროექტის განხორციელებას".

მეოთხებაღელები ძალიან გაამხიარულა ანიმაციური გმირების გამოჩენამ. ისინი მუსიკის თანხლებით ცეკვავდნენ საყვარელი პერსონაჟების ირგვლივ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაგა-ბაღის ახალგაზრდა თანამშრომლებმა პატარებს მუსიკალური ფლეშმობი აჩვენეს. ღონისძიების კულმინაცია იყო ჰელიუმის ლამაზი ბუშტების ცაში გაშვება და ოცნებების ჩაფიქრება.

# წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოვების ტრადიცია გრძელდება

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია ტრადიციას აგრძელებს _ თავისთან იწვევს იმ ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომელთაც შეძლეს წარმატებით ჩაებარებინათ ეროვნული გამოცდები და მოეპოვებინათ სახელმწიფო დაფინანსება ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში. სამტრედიის მუნიციპალიტეტის წვლილი საგანმანათლებლო პროცესში, წლეულს, საკმაოდ მნიშვნელოვანია: 304 აბიტურიენტიდან ორმოცდაათი უფასო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, ორმოცდაცამეტი გრანტის მფლობელი გახდა, სამი მათგანი 100 პროცენტიანი დაფინანსების მფლობელია, ცხრამეტი _ 70 პროცენტიანის, ხოლო, ოცდათერთმეტმა 50 პროცენტიანი დაფინანსება მოიპოვა. წარმატებული ახალგაზრდების ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას ორგანიზება განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა (ხელმძღვანელი ნატალია მანჯგალაძე) გაუწია. ახალგაზრდებს მიესალმა ვალერიანე ფოცხვერია:

"მივესალმები ყველაზე გამორჩეულ და ნიჭიერ ახალგაზრდებს, როგორც ითქვა, 300-ზე მეტი სამტრედიელი გახდა სტუდენტი, ამათგან თქვენ განსაკუთრებულად წარმატებულები ხართ, ეს არის თქვენი, თქვენი მშობლებისა და პედაგოგების დამსახურება. ახალ საინტერესო და შინაარსიან ცხოვრებას იწყებთ, ჩვენ ყოველწლიურად ვხვდებით თქვენნაირ წარმატებულ ახალგაზრდებს, სახელმწიფო მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის მქონეთათვის აწესებს გრანტს, ზოგიერთი თქვენგანი, ალბათ, მეცნიერებაშიც გაიკვლევს გზას, ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი, რომ განვითარდნენ, ბევრი რამ კეთდება როგორც ქვეყანაში, ისე ჩვენს მუნიციპალიტეტში. გისურვებთ, არც ის ადამიანები დაივიწყოთ, ვინც თქვენში ამდენი შრომა და ინვესტიცია ჩადო."

მერის მოადგილე, დავით ბახტაძე წარმატებული სტუდენტის მამის სტატუსითაც ესწრებოდა შეხვედრას. მან ახალგაზრდებს მიმართა:

"თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, სულ მალე თქვენმა თაობამ უნდა აიღოს ხელში ქვეყნის მართვის სადავეები, იქნებით საზოგადოების სრულყოფილი წევრები, ქვეყნის ხერხემალი, თითოეულ თქვენგანს გილოცავთ ამ დიდ წარმატებას, გისურვებთ კვლავ უამრავს, არასოდეს შეუშინდეთ სირთულეებს, იყავით მიზანდასახულნი, იარეთ მხნედ, სირთულესაც აქვს თავისი ხიბლი, გისურვებთ განვითარებულ საქართველოში ცხოვრებას, სამშობლოსა და პირად კეთილდღეობას".

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძე:

"ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ტრადიციად დამკვიდრდა მსგავსი შეხვედრები, ქვეყანაში, ზოგადად, განათლების კუთხით ბევრი რამ კეთდება, ჩვენი საზოგადოება ჩართულია ამ პროცესში, მინდა აღვნიშნო, რომ პატრიოტიზმი დღეს ნიშნავს კარგ პროფესიონალად ჩამოყალიბებას, რისი დეფიციტიც გვაქვს, მომავალში კიდევ მეტი ძალისხმევა დაგჭირდებათ, რომ თქვენი პროფესიონალიზმი და უნარი ქვეყანას მოახმაროთ."

შეხვედრაზე ასევე იყვნენ მიწვეულნი უმცროსკლასელები: მეოთხე საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე, მირზა შანიძე და ეწრის საჯარო სკოლის მოსწავლე, გიორგი კოპალეიშვილი.

მირზას ჯილდოების ნუსხა ვრცელია: საქართველოს მასშტაბით კინგსის ოლიმპიადის პირველადგილოსანია მათემატიკაში (შემოდგომის სეზონი), როინ ნადირაძის სახელობის ტურნირის გამარჯვებულია, პირველადგილოსანია მათემატიკაში (სარაიონო ოლიმპიადა), ასევე, საქართველოს მასშტაბით გამარჯვებული პირველადგილოსანია ინგლისურში (კინგსის გაზაფხულის სეზონი), კინგსის და თიბისი ბანკის რჩეულს დაენიშნა ასლარიანი ყოველთვიური სტიპენდია თიბისი ბანკისაგან ერთი წლის განმავლობაში. გიორგი კოპალეიშვილი მეშვიდეკლასელია, კინგსის ინგლისური ენის ოლიმპიადის გამარჯვებულია, ის დაჯილდოვდა საგზურით და მალე ლიეტუვაში მიემგზავრება. წარმატებულმა ბავშვებმა მათი მისამართით გამოთქმული ბევრი თბილი სიტყვა მოისმინეს და უფროსების მსგავსად, ისინიც ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

"სამტრედიის მაცნე" შეხვედრის რამდენიმე მონაწილეს გაესაუბრა. წინა ნომერში შემოგთავაზეთ ექსკლუზიური ინტერვიუები 100 პროცენტიანი დაფინანსების მფლობელებთან, ამჯერად სხვა წარმატებულებს გავესაუბრეთ.

ავთო ჟორჟოლიანმა მეთერთმეტე საჯარო სკოლა დაამთავრა, 50 პროცენტიანი დაფინანსება მოიპოვა დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, ჩაირიცხა სამედიცინო ფაკულტეტზე.

"მადლობა შეხვედრის ყველა ორგანიზატორს, ეს ტრადიცია სტუდენტებისათვის, მართლაც, წამახალისებელია, ჩვენ საკმაოდ რთული გამოცდები ჩავაბარეთ, შრომის დაფასება ძალიან სასიხარულო პროცესია, მადლობა ყველას, ვინც მოგვიწვია და დაგვასაჩუქრა"._ გვეუბნება ავთო.

მარიამ ამაღლობელმა მერვე საჯარო სკოლა დაამთავრა, ჩაირიცხა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე, 70 პროცენტიანი დაფინანსებით.

"ნამდვილად მიხარია, რომ ასე აფასებენ იმ ახალგაზრდებს, რომელთაც შეიძლება სკოლაში თავი ძალიან ვერ გამოიჩინეს, მაგრამ საუკეთესო შედეგი აჩვენეს. ვიმედოვნებდი, რომ გრანტს მოვიპოვებდი და მოლოდინი გამიმართლდა, მადლობა სკოლას, პედაგოგებს და მადლობა დღევანდელი დღის ორგანიზატორებს."_ გვითხრა მარიამმა.

მერვე სკოლის დირექტორი, ჯულიეტა ჩხაიძე: "მარიამი ყველა სფეროში წარმატებული, ის ოქროს მედალოსანია, იმედი გვქონდა, გაამრთლებდა ჩვენს ნდობას და სახელმწიფო დაფინანსებას მოიპოვებდა, აი, მოიპოვა კიდეც, მადლობა დღევანდელი დღის მომწყობთ ამ ახალგაზრდების გახარებისა და მათი შრომის ჯეროვანი დაფასებისათვის."

# მათი წლები მათი სიმდიდრეა

ნათია ნაცვლიშვილი

***მომავლის პარკში შემოხვევითობამ კონტრასტულ მომენტს შეგვყარა: ბალის ერთ მხარეს პაწაწა გოგო-ბიჭები ანცობდნენ, მეორე მხარეს კი, თმებდათოვლილი, საინტერესოდ გაგლილი წლებით დამძიმებული, თუმცა, ძალიან ლამაზი, საზეიმოდ მორთული, ენერგიული ბატონები და ქალბატონები იერიბებოდნენ. ურთიერთს სიყვარულითა და პატივისცემით ესაუბრებოდნენ. ასეთია ცხოვრების დიალექტიკა, გენიალური გალაკტიონისა არ იყოს, "დღეები რბიან და ჩვენ ვბერდებით". 72 წლისანი არიან ეს ადამიანები, აქა- იქ ყავარჯნიანსაც შენიშნავთ, თუმცა, უმრავლესობა ძალიან მხნედ გამოიყურება, მათი გულები კი, ისევ ახალგაზრდულად ძგერენ.***

***მოდიან ყოფილი თანაკლასელები ერთმანეთთან შესახვედრად, რომ ტრადიციად დამკვიდრებული დღე აღნიშნონ.***

ამ ადამიანებიდან ერთ-ერთი, ჩემი თანაკლასელის დედიკოა, თავად ვარ მომსწრე და შემსწრე დალი დეიდას ბობოქარი, შრომით დატვირთული ცხოვრებისა, როგორ საქმიანობდა საზოგადოებისა და ოჯახისათვის. იგი წლების განმავლობაში ამშვენებდა სამტრედიის ქუჩებს, ახლაც ამშვენებს, ასაკს შენარკინები ქალბატონი.

"ჩვენ სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის 1965 წლის გამოშვება ვართ, უკვე წლებია, დავამკვიდრეთ ყოველი წლის 15 სექტემბერს ერთმანეთთან შეხვედრის ტრადიცია. აღვნიშნეთ სკოლაში შესვლის 60 წელი, ასევე, სკოლის დამთავრებიდან 50 წლის იუბილე, დღეს მორიგი შეხვედრა გვაქვს, ეს ადამიანები ყველანი ძალიან წარმატებულნი არიან, ყველა მათგანმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, უდიდეს ბედნიერებას გვანიჭებს ერთმანეთთან შეხვედრა, სამწუხაროა, რომ გასულ წელს ჩვენთან იყო, წლეულს კი აღარ გვყავს თანაკლასელი, ეთერ დუნდუა, ჩვენი თანაკლასელი იყო ასევე, ჩემი მეუღლე, თამაზ თევზაძე, რომელიც რამდენიმე წელია, რაც იმიერში გადასახლდა". _ გვეუბნება ქალბატონი დალი ხურცილავა.

სექტემბრის იმ ლამაზ დღეს მომავლის პარკში ასევე შეიკრიბნენ: დარეჯან მაჭარაძე, როზმარ რუხაძე, ლეილა რუხაძე, ანა კილატოვა, ზეინაბ ახობაძე, დალი ციცაძე, მზევინარ მაჭავარიანი, თემურ ტორონჯაძე, ნათელა ჯანჯალია, ილია მანაგაძე, რაინდი ქუთათელაძე, არჩილ ჯანელიძე, მურმან მელქაძე, ჯიმშერ დვალიშვილი, ამირან მიქაძე, ლიანა ჯანჯღავა, ნანი ლეჟავა, იამზე ფრანგიშვილი, აკაკი ხუჭუა, რეზო რუხაძე, რეზო ხასია, მანონი კოპალეიშვილი, ანჟელა ბუაძე, ნანი ვაშაკიძე, მურად ხუჭუა, ჯუმბერ მელქაძე და რიჩარდ ახობაძე.

ამ ადამიანებიდან ზოგიერთს ამ წერილის ავტორი კარგად იცნობს, რამდენიმე მათგანთან ინტერვიუ ჩავწერეთ.

ანჟელა ბუაძე პირველ საჯარო სკოლაში, წლებია, ინგლისურ ენას ასწავლის, კომენტარისათვის სწორედ მას მივმართეთ: "ოცდათხუთმეტმა დავამთავრეთ სკოლა, ამ ლამაზი ტრადიციის დამკვიდრების ორგანიზატორები ილია მანაგაძე და აჩიკო ჯანელიძე არიან, ყველა ამ ადამიანმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, ყველა მუშაობდა თავის დროზე ძალიან კარგ თანამდებობაზე, სამტრედიაში ძალიან ცოტანი ვართ, უმრავლესობა დედაქალაქში ცხოვრობს, ათიათასი მადლობა ამ ბიჭებს, ერთმანეთს რომ ვხვდებით ხოლმე.

**_ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ კვლავ მოქმედი პედაგოგი ბრძანდებით.**

_ დიახ, დამიცვა სტატუსმა, უფროსი მასწავლებელი ვარ, არ გამიშვეს სახლში, კი მინდოდა წასვლა".

ამავე სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგია ნათელა ჯანჯალია:

"15 სექტემბერს დიდი მოლოდინით ვეგებებით ყოველწლიურად, ვიკრიბებით, ტრადიციული თამადა არის ხოლმე ამ შეხვედრების ჯუმბერ მელქაძე, ყველანი ძალიან ბედნიერები ვართ, მხნეობას ვუსურვებ ყველას.

დარეჯან მაჭარაძე: "ჩვენი განწყობა ძალიან სასიხარულოა, დღედაღამ ვფიქრობდი, თუ მოვესწრებოდი ამ დღეს, დილა რომ გათენდა და ცოცხალი შევხვდი დილას, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ფრთებშესხმული ვარ, 54-ე წელი გავიდა სკოლის დამთავრებიდან, მეექვსე შეხვედრა გვაქვს, ამასთანავე, ამხანაგები, ნანი ვაშაკიძე და მურად ხუჭუა დაგვიქორწინდნენ, ვულოცავთ მათ ამ ბედნიერებას".

ჯიმშერ დვალიშვილი, ხელბურთელი:

"მეცხრეკლასელმა დავიწყე ხელბურთის თამაში გენიალურ პედაგოგ ნოდარ კვანტალიანთან, მქონდა წარმატებები, 14 წელი ვითამაშე საქართველოს ნაკრებში, ვიყავი კლუბ "ბურევესტნიკის" წევრი, ჩვენს თანაკლასელებთან შეხვედრებს ყოველწლიურად დიდი სიხარულით ველოდებით.

**_ კლასელების ეს დამოკიდებულება მაგალითის მიმცემი თუ გახდა თქვენი შვილებისათვის?**

_ ამ ამბავში ცოტა მოვიკოჭლებ, გოგონა უცხოეთშია, თუმცა იცის, რომ დღეს აქ ვართ შეკრებილნი. ბიჭი კი დაღუპული მყავს."

ნანი ვაშაკიძე: "თითქმის ყოველი დღე ლამაზი იყო, კარგი ბავშვობა გვქონდა, ყველანი კარგი მეგობრები ვიყავით, ჩემი დედა და მამა ჩვენი სკოლის პედაგოგები იყვნენ, პირადად მე პროფესიით ეკონომისტი გახლავართ... სკოლის მერე დავიფანტეთ, კარგი ინიციატივა წამოჭრა ჩვენმა თანაკლასელმა, ერთმანეთს ვხვდებით. თორმეტი წელი იტალიაში ვიყავი, უკვე აქ ვარ..."

**_ რას უსურვებთ თქვენს თანაკლასელებს?**

_ ასე ტკბილად და მეგობრულად ვყოფილიყავით კიდევ რამდენიმე წელი, ჯანმრთელად და ლამაზად გამოვიყურებოდეთ, ასაკთან შესაფერისად."

ვუსურვებთ ამ ადამიანებს, კიდევ არაერთი საიუბილეო თარიღი აღენიშნოთ.

# საერთაშორისო უნივერსიტეტი ქუთაისში

ამ დღეებში ერთობ მნიშვნელოვანი და სასიხარულო ინფორმაცია გაჟღერდა მედიაში. კერძოდ, მომავალი სასწავლო წლიდან ქუთაისში მშენებარე საერთაშორისო ტექნოლოგიური უნივერსიტეტი სტუდენტთა პირველ ნაკადს მიიღებს. აუცილებელია ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც ქვეყანაში სახელმწიფო უნივერსიტეტი იხსნება. სასწავლო კორპუსები, საერთო საცხოვრებლები სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საუნივერსიტეტო კლინიკა, ცენტრალური ბიბლიოთეკა და სხვა საჭირო და აუცილებელი ინფრასტრუქტურა სტუდენტთა განკარგულებაში იქნება. ცნობილი გახდა ისიც, რომ თანდათან უნივერსიტეტს სხვა ფაკულტეტებიც დაემატება. სასიამოვნოა, რომ საზღვარგარეთის წამყვანი სახელმწიფოების, ცნობილი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებმა სურვილი გამოთქვეს უნივერსიტეტთან თანამშრომლობისა. უდავოა, რომ ყოველივე ხელს შეუწყობს არა მარტო ქუთაისის, არამედ რეგიონის განვითარებას, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ადგილზე დაამაგრებს სტუდენტ ახალგაზრდობას.

საკითხთან დაკავშირებით "სამტრედიის მაცნემ" კომენტარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ნუგზარ ჯამბურიას, სთხოვა, რომელმაც აღნიშნა:

"მივესალმებით ამ გადაწყვეტილებას. სასიამოვნოა, რომ უნივერსიტეტი მომავალი სასწავლო წლიდან პირველ ნაკადს მიიღებს და თანდათან გაშლის ფრთებს. ეს ჩვენი ახალგაზრდებისა და მთელი ერისათვის სასიხარულო მოვლენაა. ვიმედოვნებთ, ყოველივე ხელს შეუწყობს არა მარტო იმერეთის რეგიონით, არამედ ჩვენი ქვეყნით სხვა სახელმწიფოების დაინტერესებას. საერთაშორისო დონის უნივერსიტეტი ქალაქ ქუთაისში, ვფიქრობ, უდიდესი შენაძენი იქნება ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის. მოგეხსენებათ, პროექტისათვის ერთი მილიარდი ევროა გამოყოფილი. გმადლობთ, რომ საკითხით დაინტერესდით."

*ლევან გაბეჩავა*

# დავამარცხოთ ფაროსანა, ვებრძოლოთ ცოფს, ბრუცელოზს...

**ლევან გაბეჩავა**

მას შემდეგ, რაც შორეთიდან სამტროდ და საზიანოდ მოსულმა აზიურმა ფაროსანამ საქართველოში დაიდო ბინა, თავსატეხიც გაგვიჩინა და საქმეც მოგვემატა. მწერის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლაა გამოცხადებული.

"მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ფაროსანას საწინააღმდეგო "მოიზიდე და მოკალი" ჰერომონებისა და "ზონდერის" ხსნარით გაჟღენთილი ზეწრების დამონტაჟება, აგრეთვე თერმული ნისლით დამუშავების პროცესი. იმედია, ყოველივე შედეგიანი იქნება და ბოლოს და ბოლოს, მავნებელს დავამარცხებთ". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორმა, ბატონმა მიხეილ სხვიტარიძემ.

მიმდინარე წლის ზაფხულში ბატონი მიხეილი მივლინებით კახეთის რეგიონში იმყოფებოდა ატმისა და ატამვაშლის ექსპორტთან დაკავშირებით და, ბუნებრივია, ამ საკითხითაც დავინტერესდით.

"კახეთში ჩემი ყოფნისას 10 000 ტონაზე მეტი ატამი და ატამვაშლი გავიდა კახეთის რეგიონიდან. 90% _ რუსეთში, დანარჩენი კი _ უკრაინაში, ბელორუსიაში, ყაზახეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. ფასები შარშანდელთან შედარებით გაორმაგებულია და შესაბამისად მოსახლეობაც კმაყოფილი დარჩა". _ განაცხადა ბატონმა მიხეილმა.

მისგანვე შევიტყვეთ, რომ მონაწილეობა მიუღია კახეთში გამართულ ღვინის ფესტივალში, აღფრთოვანებით საუბრობს იმის შესახებ, ქართული ქვევრის (დაძველებული) ღვინით განსაკუთრებით რომ ინტერესდებიან უცხოელები. საგანგებოდ მოვლილმა ზვრებმა მიიქცა ჩემი ყურადღებაო, _ დასძინა. რაც შეეხება ხორბალს, მისი მოსავალი წელს რამდენადმე ნაკლები გახლდათო.

...

"გულხელდაკრეფილნი არც ვეტერინარები არიან. 2019 წლიდან დაიწყო "ჯილეხზე" ვაქცინაცია. პირველი ეტაპი უკვე დასრულებულია. გიონული სამმართველოს ინსპექტორმა, ბატონმა მიხეილ სხვიტარიძემ.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით აიცრა 5 000-ზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. "ნოდულარულ დერმატიტზე" აიცრა 10 500 სული პირუტყვი, 9 900 ძაღლსა და კატას ჩაუტარდა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. ამჟამად კი ბრუცელოზზე მიმდინარეობს აცრები. ყველა პროცედურა სახელმწიფო პროგრამით (უფასოდ) წარმოებს". _ განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს ინსპექტორმა, ბატონმა ზაზა მეგრელიშვილმა.

# როგორ ვებრძოლოთ მავნებლებს _ მობილური ლაბორატორია დიდ ჯიხაიშში

20 სექტემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში მოძრავი ლაბორატორია ჩამოვიდა, რომელიც დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცენარეთა დაავადებების გამომწვევ მიზეზებს ადგილზე ადგენს, გლეხობას აძლევს რჩევა-დარიგებებს, თუ როგორ უნდა ებრძოლონ ამა თუ იმ მავნებელს.

სოფელ დიდ ჯიხაიშში სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი ფიქრია ჭლიკაძე მოძრავ ლაბორატორიასთან ერთად ჩამოვიდა. ფიტოსანიტრებთან ერთად მან მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდა მცენარეთა დაავადებების შესახებ. ასევე _ მცენარეთა დაავადებების პრევენციასა და აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებზე. მოსახლეობამ ლაბორატორიაში წარმოადგინა დაავადებული მცენარეების ფოთლები და ნაყოფი. ლაბორატორიის თანამშრომლებმა იქვე ჩაატარეს გამოკვლევები. გლეხობას ადგილზევე ეცნობა პასუხები, მიიღეს რჩევა-დარიგებები.

მცენარეული დაავადებები ძირითადად გამოვლინდა მსხალში, ვაშლში, ყურძენში. ეს დაავადებები იწვევს მცენარეთა ფოთლებისა და ნაყოფის დაზიანებას, უვარგისად ქცევას.

ფიქრია ჭლიკაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი: "ჩვენი მიზანია, რომ მოსახლეობას გავუოლოთ სპეციალისტებთან კომუნიკაცია. ადგილებზე ჩასვლით ყველასთვის ხელმისაწვდომს ვხდით კვლევების ჩატარებას, რითაც მოსახლეობა ინფორმაციას იღებას, რა დაავადებებთან აქვს საქმე და როგორ შეიძლება ებრძოლოს მათ, მომავალ წელს კარგი მოსავალი რომ მიიღოს. ამ ეტაპზე წამლით მომარაგება არ ხდება. ეს არის პრევენციული ღონისძიება, რომლითაც მოსახლეობამ დაავადებას დროულად და ეფექტურად უნდა გამოუცხადოს ბრძოლა".

ადგილობრივ გლეხობასთან ერთად დიდ ჯიხაიშში იმყოფებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი. ვალერიანე ფოცხვერია თვალს ადევნებდა მობილური ლაბორატორიის საქმიანობას. მან მადლობა გადაუხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფროს ფიქრია ჭლიკაძესა და ფიტოსანიტრებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ, დიდ ჯიხაიშში, მოსახლეობის მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერისთვის.

მობილურმა ლაბორატორიამ იმავე დღეს კვლევები ჩაატარა ღანირისა და გომის თემებში.

*ნინო ნანიტაშვილი*

ეს-ესაა დაიწყო ახალი 2019-2020 სასწავლო წელი.

კვლავ აზმიანდნენ ქუჩები, სკოლები, სოფლის ორღობეები მოსწავლეთა მხიარული გადაძახილით. დასრულდა ზაფხულის არდადეგები და ერთი წლით დაბრძენებული მოსწავლეები კვლავ მერხებს მიუსხდნენ. სასწავლო წელი დაიწყო სკოლამდელ დაწესებულებებშიც.

პატარებისათვის, ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის კარგად ნაცნობმა პოეტმა და პედაგოგმა, მრავალი ღირსეული თაობის აღმზრდელმა, ბატონმა **ილია ლეკვეიშვილმა** ისევ ახალი ლექსები გვაახლა, თემატურად ახალი სასწავლო წლის დაწყებას რომ ეხმიანება და წრფელი სურვილებიც თან დაადევნა ახალგაზრდებისადმი: ისწავლონ ბეჯითად, ასახელონ ჩვენი საფიცარი საქართველო, არ მოსწყდნენ ქართულ, ეროვნულ ფესვებს.

ვუერთდებით ბატონი ილიას წრფელ სურვილებს და სწავლის განახლებას ვულოცავთ ახალგაზრდებს, მათზე მზრუნველ პედაგოგებს, მშობლებს!

***ლევან გაბეჩავა***

### პირველად სასწავლებელში

წიგნები მიხმობს, მეძახის
და სკოლის ზარი წკრიალა,
სასწავლებელში მივდივარ,
საბავშვო ბაღში კი არა.
მე უკვე დიდი გოგო ვარ,
პატარა მეთქმის განაო?
სკოლისკენ იმად ვიჩქარი,
ვისწავლო ანა-ბანაო...
შევიძლო თეთრის და შავის
გარჩევა თანდათანაო,
სულერთი არი, რა მქვია,
როსტევანი თუ ნანაო...
ათიანებზე ვისწავლი,
ცად რომ შევიძლო ფრენაო,
წინ მიდევს გოგებაშვილის
უკვდავი ''დედაენაო!''
სამშობლოს გულგასახარად,
ო, დელა, დელა-დელაო,
ისეთი გოგო გავხდები,
შემომნატროდეს ყველაო.

### ჩემი სკოლა

ბუნება რომ ბუბუნს იწყებს,
ჩიტი რომ ფრთხიალდება,
მეც საფრენად ცისკენ ვიწევ
და ცის კარიც აღდება.
ამოხტომა გულს ბუდიდან
უნდა და ვერ ვაკავებ,
''დედაენას'' რომ გადავშლი,
დედასავით საყვარელს.
აი, ია, აი თოხი,
მალე ჩავალ ჰოემდე.
თურმე რა პატარა ჰყოფნით
ლექსებისთვის პოეტებს.
მეც პატარა მყოფნის განა...
ვაჟი ვარ თუ ასული,
ჩემი არი ეს ქვეყანა,
მეც პოეტის მაქვს სული.
შორს გურიის მოჩანს მთები,
ვისმენ მათ კრიმანჭულებს,
მთვარესავით ვიბადრები,
მზე რომ თვალს მიპაჭუნებს.
ჟრუანტელი მივლის, როცა
მესმის ზარის წკრიალი,
''დედაენის'' საუნჯიდან
მიღიმიან იანი.

### სკოლისკენ მაინც ვიჩქარი

დავემშვიდობე ბებოს ჭრელ
ბოჩოლასა და მურიას,
ფისოსაც ჩემთან თამაში
თუმცა კვლავ ისევ სწყურია.
მაგრამ ბოდიში ყველასთან,
სკოლა იწყება, ხომ იცით!
აწი ბებია მოგხედავთ,
მე უკვე ველარ მოვიცლი.
დამთავრდა ჩემი ნავარდი
და შენც გთხოვ, არ მოიწყინო,
სოფლის ორღობის ბოლოში
ხევში ჩადგმულო წისქვილო.
მშვიდობით, ჩემო ზღვისპირო,
ნიჟარებო და ტალღებო,
მშვიდობით, მოუსვენარო
სოფლის გულღია ბაღებო.
სკოლა მეძახის, მელიან
ახალთახალი წიგნები,
ცოტაც და ჩავეხუტები,
ცოტაც და ერთად ვიქნებით.
საყვარელ მასწავლებლების
ჩვენი მეორე დედების
მომნატრებია გულწრფელი
რჩევა და დარიგებები.
თუმცა სოფელმა წელს გული
ზუსტად შუაზე გამიყო,
სკოლისკენ მაინც ვიჩქარი,
რომ მწვერვალები დავიპყრო.

### ციცქნა ლიზი

სიტყვებს ჯერ ვერ ერევა,
მაგრამ მაინც ომობს,
ყველა ასო-ნიშანს
არჩევს უშეცდომოდ.
მე რომ კითხვას დავიწყებ,
ხმას მაყოლებს ფრთხილად,
ბებოსაც ეხმარება
ბოსტანს როცა ხილავს.
სახლსაც ვითომ ალაგებს
და არადა ურევს,
დასდევს ჩვარით ხელში
მამის ნაფეხურებს.
ბებო კმაყოფილია,
მოსწონს მისი ქცევა,
ამბობს _ ეგ თამაში,
ჩვევად გადექცევა.

### ძმობა და სიყვარული

დღეს დიდი დღეა, ზეიმობს
ჩემი ქვეყანა სრულიად,
ყველგან, სადაც კი გახედავთ,
ბავშვების ჟრიამულია.
შიგა თუ გარე კახეთი,
ქართლი მთლად ქვეყნის გულია,
''რასაცა გასცემ, შენია,
რაც არა _ დაკარგულია''.
რიონისპირა ჭალებს რომ
გასცდები, იქ ენგურია,
ლიხს აქეთურს თუ იქეთურს
მტკვართან ერთობა სწყურია.
ისიც გულმშვიდად დუდუნებს,
თვალი დაუდგეს შურიანს,
როცა ჩვენ ყველა ერთად ვართ,
არც არა დაკარგულია.
მიტომაც ოდით გვამშვენებს
ერთა კავშირი ძმურია,
ხარობს და ზეობს ღვთის ნებით
ჩემი სამშობლო სრულიად.
ხარობს და მეც მიხარია,
გული ეძახის გულიანს,
ჩვენი თავდები ამქვეყნად
ძმობა და სიყვარულია.

***

შენ, დილავ თმაგიშრიანო,
აქ მოსვლას არ გიშლიანო?
შენ რომ დაპყრობად ამენთები,
მე დაღამებად დაგნებდები...

### როგორ გათენდა?

როგორ გათენდა და
ნასიზმრევ ღამემ
ფეხი დაიბანა და დაისვენა...
გაალე თვალი და ფანტანივით
თვალებიდან გადმოჩუხჩუხდა სიცოცხლეები
და აგვისტომ გამშრალი
პირი გაისველა...

***

თვალში ვერ ვხედავ
უკვე ვერაფერს,
მაგრამ დედა რომ დამესიზმრა,
კარგად შევხედე...

***

კი არ დაზამთრდა,
ზაფხულმა ფერი დაიბანა და
დასაძინებლად წავიდა...

***

მე მამის ჩრდილი
აბჯარივით მემოსა ტანზე,
ვიზრდებოდი და ნელ-ნელა მერე
ვხედავდი, პატარაობის ტანსაცმელივით
როგორ მიმოკლდებოდა იგი ყოველდღე...
მე მამის ჩრდილი...

***

თავს იბანდა დილის ნამით,
ქალი ვნახე ყმაწვილიო,
შევხედე და უცებ შერცხვა,
შემოიცვა ყვავილიო.
ბაიებში დამემალა,
თვალებგვირა სევდითაო,
სერზე ვნახე ბალახებში,
მოუჭრიათ ცელითაო.

***

მიდის მდინარე,
ჩემი ნოღელა,
კი არ თენდება,
თეთრ მთვარეს ლოკავს ბოჩოლასავით
ჩემი ნოღელა...
და დღე იწყება,
როგორც ნოველა...

***ერმილე თოფურია***

## 1. წყალი შეიძლება ერთდროულად დუღდეს და იყინებოდეს



ამ მოვლენას ეწოდება წყლის ''სამმაგი წერტილი''. ამ დროს წნევა და ტემპერატურა ისე ემთხვევა ერთმანეთს, რომ ის შესაძლებელს ხდის სამი სხვადასხვა აგრეგატული მდგომარეობის (აირი, სითხე და მყარი ნივთიერება) ერთდროულად არსებობას.

## 2. გატეხილი კვერცხი წყალში უცნაური მედუზასავით მოძრაობს

სამზარეულოში გატეხილმა კვერცხმა შეიძლება ნერვები მოგვიშალოს და გაგვაბრაზოს, თუმცა ეს პრობლემა მარტივი გადასაჭრელია. როდესაც კვერცხის შეწვა მოგვინდება, მხოლოდ და მხოლოდ ისაა საჭირო, რომ ჩავიდეთ წყლის ქვეშ 18 მეტრის სიღრმეზე, სადაც ხმელეთთან შედარებით კვერცხზე 2, 8-ჯერ მეტი ატმოსფერული წნევა მოქმედებს. ამის გამო გატეხილ კვერცხს ცილა გარსივით შემოეკვრება და ის ფორმას არ დაკარგავს.

## 3. ეს ხდება, როცა შავი ხვრელი ვარსკვლავს ყლაპავს

შავი ხვრელის მიერ ვარსკვლავის შთანთქმისას გამოიტყორცნება პლაზმის უზარმაზარი ნაკადი, რომელიც ასობით სინათლის წლის მანძილზე მიმოიფანტება.

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მკვლევარი, სუვი გეზარი ასე ხსნის ამ მოვლენას: ''როდესაც ვარსკვლავს ხლეჩს შავი ხვრელის მიზიდულობის ძალა, ვარსკვლავის ნაწილი იკარგება შავ ხვრელში, ხოლო ნაწილი მაღალი სიჩქარით გარეთ გამოიტყორცნება.

## 4. როგორ დავინახოთ სათვალის გარეშე

თუკი სათვალე სახლში დაგრჩათ, შეგიძლიათ მუშტი ისე შეკრათ, რომ მასში პატარა ჭუჭრუტანა დატოვოთ, მუშტი თვალთან ახლოს მიიტანოთ და მასში გაიხედოთ. ეს დაგეხმარებათ თვალის ბადურისკენ მიმართული სინათლის სხივები მოაქციოთ ფოკუსში. ეს სრულად ვერ მოაგვარებს მხედველობის პრობლემას, თუმცა სათვალის არქონის შემთხვევაში შეიძლება კარგი ალტერნატივა იყოს.

**წყარო: Science Alert**
***www.on.ge***

# ულმობელი საქმის კაცი

განსაცდელის ჟამს უფალი საქართველოს მოუვლენს მხსნელს, წინამძღოლს, რომელსაც ძალუძს უმკურნალოს ერის სატკივარს და გადაარჩინოს ქვეყანა, _ ბრძანებდა ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე.

თავად ილიასთან, აკაკი წერეთელთან და სხვა გამოჩენილ მამულიშვილებთან ერთად, სწორედ რომ მხსნელად მოევლინა სნებაშეყრილ ჩვენს საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე.

საქართველოს ისტორიაში ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენა, ნიკოს თავისი აზრი რომ არ გამოეთქვას.

მარადის მაძიებელი ერისკაცი ბევრს მოგზაურობდა საზღვარგარეთ, ეცნობოდა მოწინავე გამოცდილებას და საქართველოში ნერგავდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო.

როგორც ცნობილია, ნიკოლაძემ ცხოვრების დიდი ნაწილი სოფელ დიდ ჯიხაიშში, ლორთქიფანიძეთა დედისეულ მამულში გაატარა. აქ ნიკოსეული სახლის აივანზე გათენებამდე უმსჯელიათ ერისკაცებს საქართველოს აწმყოსა და მომავალზე.

ფასდაუდებელია ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი და ამაგი ჩვენს ქვეყანაში რკინიგზის ქსელის განვითარების საქმეში. განსაკუთრებით ზრუნავდა იგი მისთვის მშობლიურად ქცეული სოფელ დიდი ჯიხაიშისა და ახლომდებარე სოფლების მცხოვრებთა კეთილდღეობისათვის.

სარწყავი არხის გამოყვანა, ფოსტა-ტელეგრაფის, კულტურულ-საგანმანათლებლო კერების, დაწყებითი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსება, ნებართვა სოფელ იანეთში სარკინიგზო ბაქნის გახსნასთან დაკავშირებით _ ნაწილია მის მიერ ნაკეთები კეთილი საქმეებისა.

12 წელზე მეტხანს იყო ნიკო ნიკოლაძე ფოთის ქალაქისთავი. მან ძალზე ბევრი გააკეთა ფოთის საპორტო ქალაქად გადაქცევის საქმეში. დღესაც ამაყად დგას ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დიდი ერისკაცის ძეგლი, რაც მისადმი ფოთელების განუზომელი პატივისცემის გამოხატულებაა უთუოდ.

ვინ იცის, წლების განმავლობაში რამდენჯერ ჩატარებულა სახალხო დღესასწაული "ნიკოობა", თუმცა მაინც გვგონია, რომ ჯეროვნად შეუფასებელია ამ "ულმობელი საქმის კაცის" ღვაწლი და ამაგი ერის წინაშე.

უნდა ითქვას, რომ სასწავლო სახელმძღვანელოებში თითქმის არაფერია ნათქვამი მის პრაქტიკულ მოღვაწეობაზე. წვლილზე, რომელიც შეიტანა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ეს-ესაა დაიწყო ახალი სასწავლო წელი.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები ხშირად არიან სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიების ორგანიზატორები და მონაწილეები, თუმცა, რაგინდ უცნაურად უნდა გვეჩვენოს, სამტრედიელ მოსწავლეთა ნაწილს ერთხელაც არ უსტუმრიათ სოფელ დიდ ჯიხაიშში ნიკოსეულ მამულში, არადა, დიდი ერისკაცის სახლ-მუზეუმში დაცული ექსპონატები, ნიკოსეული კარ-მიდამო უთუოდ მოხიბლავს მნახველთ, გარდა ამისა, ყოველ მისვლაზე რაღაც ახალს, პროგრესულს გაიგებს და შეიმეცნებს ადამიანი. კარგი იქნება, ჩვენს ამ მოკრძალებულ წინადადებას თუ გაითვალისწინებენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მესვეურნი, პედაგოგები, მოსწავლეები, მათი მშობლები.

ეს ხომ ისევ და ისევ ჩვენი მომავლის ეროვნული იდეებისადმი ერთგულებით აღზრდას შეუწყობს ხელს.

176 წელი სრულდება ამ დღეებში (1843-1928 წწ.) ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან.

**ლევან გაბეჩავა**

## ფიქრები და განცდები გულმა ვერ დაიტია

### თამაზ მიქაძის ხსოვნას

ბავშვობიდან ცხოვრების ყოველდღიურობაში ტკივილებს ნაზიარები, ობლობაში გაზრდილი, ნიჭიერი, ქალაქის №2 საშუალო სკოლის წარმატებული კურსდამთავრებული, სამტრედიის კალათბურთელთა ახალგაზრდული გუნდის ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენი, რომელმაც ოჯახური მდგომარეობის გამო უარი თქვა საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა ნაკრებში მიწვევაზე.

გამოცდილებით ვრწმუნდები, რომ ცხოვრებაში მთავარი სწორი ორიენტირია, სწორი არჩევანი. მან დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი. სწავლის პარალელურად მუშად მუშაობდა საკონსერვო კომბინატში. თავის წერილში "საით მივდივართ, რით ვუმკურნალოთ" თამაზ მიქაძე აღნიშნავს: _ მე ჩემი ცხოვრება ნამდვილად წარმატებით გავიარე. იმ კომბინატის ხელმძღვანელი გავხდი, სადაც ყუთების მჭედავად დავიწყე მუშაობა, ხოლო რიგითი ინსტრუქტორიდან _ რაიონის ხელმძღვანელი და ეს ყოველივე არც ისე ადვილი მისაღწევი იყო უდედმამოდ გაზრდილი ახალგაზრდისთვის."

1974 წელს, როცა რაიონს უაღრესად ინტელექტუალური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პიროვნება, ბატონი ნუგზარ რუხაძე ხელმძღვანელობდა, თამაზ მიქაძე დააწინაურეს პარტიის რაიკომის მეორე მდივნის თანამდებობაზე. სწორედ აღმშენებლობის წლებს დაემთხვა ბატონი თამაზის მუშაობის პერიოდი. მისი ხელმძღვანელობის სტილი განსაკუთრებით კარგად წარმოჩნდა მაშინ, როცა ის სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის საპასუხისმგებლო მისიას ასრულებდა. მოხერხდა იმ საინტერესო პროექტების რეალიზაცია, რომლებიც სამტრედიის ენციკლოპედიაში სრულადაა ასახული. მან სამი წელი იმუშავა საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის მდივნად უაღრესად რთულ პერიოდში.

1991-1998 წლებში თამაზ მიქაძე ქ. მოსკოვში დაარსებული კომერციული ფირმა "იმედის" აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა, ხოლო 1998 წლიდან იგი სააქციო საზოგადოება "სამტრედიის ნავთობპროდუქტის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც 2003 წლამდე დაყო.

ბატონი თამაზი უსაზღვროდ იყო შეყვარებული თავის ქვეყანაზე, მშობლიურ ქალაქზე, არჩეული იყო საზოგადოება "სამტრედიელის" გამგეობის წევრად. მისი ფიქრები და განცდები გულმა ვერ დაიტია და წერილობით დაუტოვა შთამომავლობას: "განვლილი გზა და ფიქრები", "ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების", "ხელმძღვანელობის ძველი და ახალი სტილი", "საით მივდივართ, რით ვიმკურნალოთ", "გვეშველება რამე?"

ბატონი თამაზი ღირსეული ოჯახის ღირსეული თავკაცი, მეუღლე, მამა და ბაბუა გახლდათ. შვილთაშვილებსაც მოესწრო და გაიხარა. ოჯახს, ახლობლებს, ნათესავებს, დიდ სამეგობროს სითბო, სიყვარული და ამ წუთისოფლიდან განშორების ტკივილი დაუტოვა. ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც ყოველთვის გრძნობდა და აფასებდა მის ძმურ თანადგომასა და გულწრფელ ურთიერთობას.

ორმოცი დღე გავიდა ბატონი თამაზ მიქაძის გარდაცვალებიდან. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**ნათელა გელეიშვილი**

### ტატიანა ფრანგიშვილი-ჩაჩავას გახსენება

შენი არყოფნის 40 დღეც მალე გავიდა, როგორ ძლიერ გვაკლიხარ და გვენატრები. ნათელში გვიმყოფოს უფალმა შენი სპეტაკი სული, ჩვენო დაუვიწყარო დედავ და ბებიავ.

არასოდეს დავივიწყებთ შენს ამაგს.

*ვილეები, ვილიშვილები ოჯახებით*

### როდესაც დედა უკვდება პოეტს

*ეძღვნება პოეტ მერაბ ჩაჩავას დედის ხსოვნას*

სამწუხაროა უფრო ათასგზის,
ვიდრეა გაყრა, ვწყევლი იმ მომენტს,
როს დასასრული დგება ლამაზის,
როდესაც დედა უკვდება პოეტს.
ო, რა უძლურნი გახდნენ მუზები,
ვეღარ სწყალობენ, ხდება ეს ოდეს,
ტირიან თავად ანგელოზები,
როდესაც დედა უკვდება პოეტს.
რეალიები ითხოვს გუებას,
უმუზოდ, ტანჯვით თხზავს დედის სონეტს,
დედის ხსოვნას და დედის სახებას
პოეტი, დედა რომ აღარ მოკვდეს.

*აკაკი რუხაძე*

უღრმესი მადლიერება გვინდა გამოვხატოთ საზოგადოების მიმართ ჩვენი უდიდესი ტკივილის, ერთგული მეუღლის, შესანიშნავი მამისა და ბაბუის, **თამაზ მიქაძის**, გარდაცვალებასთან დაკავშირებული მწუხარების გაზიარების გამო. მადლობა ყველას, ვინც გვერდით გვედგა იმ მძიმე დღეებში.

*ოჯახი*

# გაატარე ერთი წელი ამერიკაში

FIEX _ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროგრამა იწვევს სკოლის მოსწავლეებს (მე-9, მე-10 და მე-11 კლასები).

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს:
Fb: American Councils For International Education Georgia
IG: flexgeorgia
საკონტაქტო ნომერი 0322292106

***FLEX 2018-2019 ფინალისტი ანანო არველაძე***

**ვაყვალა ჩირგაძეს!**

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და მეგობარს ვულოცავთ დაბადების დღეს. მზეგრძელობას, დღეგრძელობასა და შემოქმედებით წარმატებას ვუსურვებთ.

**"სამტრედიის მაცნე"**

**ვაყვალა ჩირგაძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მეგობარო. წლების მატებას საუკეთესო მოვლენებით დახუნძლული დღეები და ამბები მოეტანოს. მაყვალა ჩირგაძის ულამაზეს პოეტურ კალამს კვლავაც შედევრები შეექმნას და გაებედნიერებინოს თავისი ერთგული მკითხველები და ნიჭის თაყვანისმცემლები. უფალმა გაგიძლიეროს ძვირფასი საუნჯე _ დიდი ოჯახი და ერთიათასად გიქციოს შთამომავლობა!

**ნათელა გელეიშვილი, ნინო ნანიტაშვილი, ქეთევან ჭელიძე**

**ვულოცავთ!**

**მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ხონისა და სამტრედიის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ საბას**

ქრისტესმიერი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

***"სამტრედიის მაცნე"***

**ელიზა ცხვირავაშვილს!**

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. ოჯახური ბედნიერება, კარიერული წინსვლა და წარმატებები დაგებედოთ!

**"სამტრედიის მაცნე"**

**რედაქციის მისამართი:**
**სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6**
**ტელ: 599 02 41 11**

**მაცნე** სამტრედიის

| | |
|---|---|
| დირექტორი | ბეჭან გოგია |
| მთავარი რედაქტორი | ქეთევან ჭელიძე |
| გამომშვები რედაქტორი | თეა ბაბუნაშვილი |
| პასუხისმგებელი მდივანი | ლევან გაბეჩავა |
| კომპიუტერული გრაფიკა | მაკა პაპავა |